Вопрос о геологическом возрасте гордской озерной свиты, если исходить из палеоботанических данных по Колхиде, а именно, стратиграфического размещения вышеуказанных вымерших растительных родов в отложениях черноморского бассейна<sup>5</sup> (см. Каталог ископаемых растений Кавказа, 1973; Чочисва, Мамацашвили 1976, 1977, 1979), решается в пользу конца среднего или начала верхнего плей-

<sup>5</sup> В отложениях Черного моря, по вполне понятным причинам, архаичные элементы флоры присутствуют в еще большем количестве, чем в осадках Гордского озера, и притом в фаунистически датированных слоях.

стоцена (узунылар или карангат черноморской шкалы, т. е. тиррей Среднеземноморья по П. В. Федорову, 1961).

Резкое изменение состава флоры региона Горди на хронологическом уровне разреза на высоте 2,5 м от подошвы озерных осадков (500 годами позже начала озерной седиментации) могло быть обусловлено только климатическим фактором. Иначе невозможно объяснить почти одновременное исчезновение пяти из шести таксонов архаичной для Кавказа флоры (*Engelhardtia*-type, *Carya*, *Cedrus*, *Tsuga*, *Podocarpus*). Шестой таксон этой же группы (*Taxodium*) оказался несколько более выносливым к перемене климатических условий. Учитывая большую теплолюбивость некоторых из этих растений (напр. энгельгардтии и кариин) по сравнению с ныне растущими представителями дикой кавказской флоры (Криштофович, 1957) указанное изменение климата должно было выразиться в быстром похолодании.

Похолодание это было обусловлено, по всей видимости, не региональными, а глобальными факторами. Региональное похолодание, связанное с тектоническим поднятием (перемещением зоны распространения теплолюбивых растений вверх в более прохладную климатическую зону), не могло вызвать полного исчезновения термофильной флоры, т. к. последняя сместилась бы вниз, и ее пыльца продолжала бы попадать в Гордское озеро с воздушными потоками. К тому же амплитуда смещения зон (общего поднятия полосы Большого Кавказа) не могла быть  $> 300$  м за весь период со времени среднего плейстоцена и до современной эпохи, причем значительная доля в этой величине приходится на верхний плейстоцен и голоцен (т. е. на время, следовавшее за той подвижкой по Гведскому взбросу, которая явилась региональным выражением глобальной орогенической фазы, обусловившей климатофлористический перелом в Колхиде и других областях). Причиной похолодания в среднем плейстоцене являлось, вероятно, ослабление меридионального переноса тепла от экватора к полюсам в результате чего термические пояса внетропических широт сдвинулись в противоположном направлении. Ведь действие всех факторов земного, космического и космическо-земного происхождения, оказывающих существенное влияние на климат нашей планеты, особенно сильно сказывается на изменении интенсивности циркуляции атмосферы — этого важнейшего звена климатоформирующего трио (радиация-циркуляция-подстилающая поверхность). Отсутствие в отложениях Гордского плейстоценового озера (и вообще в бассейне р. Окаце) палеофаунистических и археологических свидетельств плейстоцена и вещественной основы для применения методов абсолютной геохронологии заставляет нас при попытке хронологизировать события новейшей истории рассматриваемого региона опираться на данные палеоботанических, в частности, палинологических исследований.

Поскольку в нижней части озерной формации четко улавливается горизонт резкого перехода от субтропической, изобиловавшей архаическими для Кавказа и Европы родами флоры нижнего пояса массива Асхи к умеренной флоре, лишенной указанных родов, мы можем с уверенностью говорить о среднеплейстоценовом (тирренском) возрасте указанных отложений. Исходя из этого, возникновение озера и вызвавшую его тектоническую фазу также следует датировать тем же временем, ибо все эти явления (изменение климата в сторону похолодания, обусловившее обеднение флоры теплолюбивыми растениями, образование запрудного озера и проявление создавших его орогенических движений) были растянуты во времени не более чем на 500—800 лет. Наличие этого промежутка не противоречит,



а наоборот, подтверждает связь похолодания с тектонической фазой, поскольку для проявления геоморфологического эффекта орогенных движений (увеличения средней высоты мировой суши) климатических и флористических следствий нужно было определенное время.

Мы знаем, что в среднем плейстоцене в различных областях мира проявлялась орогеническая фаза, носящая название пасаденской (С. Америка), гафесской (Африка), калынской (Азербайджан) и т. д. Гведская фаза Западной Грузии является ее региональным аналогом. Она представляет собой одну из субфаз «третьей фазы позднеорогеновой (антропогеновой) стадии» Е. Е. Милановского (1968). Глобальный масштаб ее подтверждается теми климатическими и флористическими изменениями, которые она вызвала в Гордском регионе.

Верхняя часть Гордской озерной свиты относится либо к верхам среднего плейстоцена, либо к низам верхнего плейстоцена и, таким образом возникновение подземного стока, выработка вначале карстовой пещеры, затем каньона Окаце, размыв озерных отложений до их современного состояния — все эти геоморфологические процессы протекли на протяжении времени, охватывающего верхний плейстоцен и голоцен.

Значение Гордского палеогеографического памятника заключается в том, что он не только увязывает между собою во времени три различных события (изменения флоры, климатический перелом в орогеническую фазу), но и позволяет с достаточным приближением определить тот срок, в течение которого тектоногенное изменение земного лика (общее повышение суши, увеличение снежности внетропических пространств и суммарного альбедо Земли, начало развития ледниковых покровов) сказалось на климате и органическом мире Закавказья (500—800 лет).

Гордский памятник является одним из наиболее убедительных доказательств, выдвинутых еще Ч. Лайелом, Т. Чемберленом, В. Рамзаем, теоретических предположений о связи похолоданий и оледенений с орогеническими преобразованиями Земли. Как известно, эта гипотеза принимается не всеми палеогеографами, поэтому и не смогла стать теорией подобно, например, ледниковой.

Поскольку Гордский регион расположен вне границ плейстоценового оледенения Кавказского хребта непосредственно увязать происходившие в нем явления (образование тектонической платформы, перелом климата, исчезновение теплолюбивых растений) с оледенениями этой горной области пока трудно. Если одновременно с гведской дислокацией имело место общее воздымание Кавказа, то оно должно было вместе с наступившим глобальным похолоданием резко увеличить площадь ледяного панциря хребта, т. е. вызвать последнюю, максимальную ледниковую эпоху области. Таким же проблематичным остается вопрос о сопоставлении «гордского похолодания» с покровными оледенениями равнин высоких широт. Глобальное похолодание, отголосок которого мы видим в стратиграфии Гордской озерной формации, могло послужить толчком либо к днепровскому оледенению Русской равнины (заале Европы), либо к валдайскому (вислинскому) оледенению. Современное состояние палеогеографических знаний о четвертичном периоде не позволяет с уверенностью решить эту проблему, — тем более, что многие исследователи отрицают существование значительного межледниковья между этими оледенениями и говорят об едином «рисско-вюрмском» оледенении, продолжавшемся



более 100. 000 лет (Громов 1948, Маруашвили 1978 De pizot 1949, Vita-Finzi 1969 и др.). Требуется дальнейшая разработка стратиграфии и взаимной корреляции континентальных и морских отложений Кавказа, Русской равнины и других стран.

Сопоставляя результаты изучения Гордского палеогеографического памятника с данными по Цуджватской пещерной системе (Маруашвили 1978), можно утверждать, что все значительные по амплитуде изменения климата, осуществляющиеся за геологически короткие сроки (за немногие столетия), обуславливаются не региональными, а глобальными факторами.

#### ЛИТЕРАТУРА

- Гамкрелидзе П. Д. Тектоника Грузии. В книге «Геология СССР», т. X. изд. «Недра», М., 1964.
- Гигинишвили Г. И. Средний многолетний сток и его внутрисезонное распределение на малых реках Мегрелии. В сб. «Проблемы географии Грузии». Тбилиси, изд. «Мецниереба», 1965.
- Громов В. И. Палинологическое и археологическое обоснование стратиграфии континентальных отложений четвертичного периода на территории СССР (млекопитающие, палеолит). М., 1948.
- Джanelidze A. I. Геологический комплекс Ахских гор. «Сообщения АН ГССР», т. II, 1—2, 1941.
- Живая тектоника. М. изд. Иностранной литературы, 1957 Каталог ископаемых растений Кавказа. I—II. Редактор А. А. Колаковский. Тбилиси, изд. «Мецниереба» 1973. 315 с, 321 г.
- Когошвили Л. В. О развитии неотектогенного рельефа Грузии. «Мецниереба», 1975, 304 с.
- Криштофович А. Н. Палеоботаника. Л., Гос. научно-техн. изд-во нефтяной и горно-топливной литературы, 1957, с. 650 с.
- Маруашвили Л. И., Мамацашвили Н. С., Хазарадзе Р. Д. Гордское плейстоценовое озеро (палеогеографические и геохронологические результаты изучения отложений). «Сообщения Академии наук ГССР», т. 79, № 3, 1975. стр. 621—624.
- Маруашвили Л. И. Климатические изменения в позднем антропогене в свете новых данных по Грузии. В книге «Изучение пещер Колхиды». Тбилиси изд. «Мецниереба», 1978, стр. 192—261.
- Милановский Е. Е. Новейшая тектоника Кавказа, М., изд-во «Недра», 1968.
- Федоров П. В. Стратиграфия четвертичных отложений Крымско-Кавказского побережья и некоторые вопросы геологической истории Черного моря. Изд-во АН СССР, М., 1961.
- Чочиева К. И., Мамацашвили Н. С. Узунларская флора Цхалминды (Зап. Грузия). «Сообщения АН ГССР». 82, № 3, 1976, стр. 741—744.
- Чочиева К. И., Мамацашвили Н. С. Данные спорово-пыльцевого анализа древневзксинской флоры Грузии (Зап. Грузия). «Доклады АН СССР» 235, № 5 1977, стр. 1148—1151.
- Чочиева К. И., Мамацашвили Н. С. Новые данные об узунларской флоре Грузии (Зап. Грузия). «Доклады АН СССР», 245, № 3, 1979, стр. 692 — 696.
- Denizot G. Coordination du Quaternaire de France. „Bull. Soc. Geol. France. Notes et Memoires”, ser. 5, t. 19, 1-2-3, 1949.
- Vita-Finzi C. Mediterranean monoglaciation. „Nature” (EngL.) 1969, 224, oct.



**მცირე ბაკობოჩიის ლანდშაფტური ანალიზი აზხაეთის ასსრ  
გალის რაიონის სოფ. წარჩეს ეზვას სახელობის ციტრუსების  
საბჭოთა მეურნეობის მაგალითად**


მ. ზ. ხარატიშვილი, ზ. ხ. სეფმრთელაძე

ლანდშაფტურია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები გამოყენებული უნდა იქნეს საგეგმო ორგანიზაციების მიერ, პატარეგობების მეურნეობის დარგების შემდგომი განვითარებისათვის საბრუნველ მოცემულობებში. ლანდშაფტურია ბასიათის შრომები საქობოთა როგორც საფუძველი აგროტექნიკური ღონისძიებების სწორი სისტემის განხორციელების, მიწის რაციონალურად გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორად განაწილების, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების და სხვ. საქმეში.

ს. წარჩეს ეზვას სახელობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა 1980 წელს იგი მდებარეობს ქ. ვალიდან ჩრდილო-დასავლეთით 18 კმ მანძილზე, სამურზყანოს ვორაკ-ბორცვიან ნაწილში. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მდ. მორინჯე, ხოლო მდ. წარჩესწყალი (ჩხორთოლი) თითქმის შუაზე ჰყოფს ისინი მდ. ოქუშის სისტემას ეკუთვნის და მეურნეობის ტერიტორიაზე ტრანზიტული არიან. მეურნეობა ვრცელდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 4 კმ მანძილზე, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თითქმის 5 კმ-ზე. მეურნეობის ყველაზე დაბალი ნიშნული ზ. დ. 68 მეტრზეა, ხოლო უმაღლესი წერტილი — 252 მ. აღწევს.

მეურნეობის ტერიტორიის ფართობი 957 ჰექტარია, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის 347 ჰა. გაშენებულია მანდარინი, ჩაი, ფეიხოა, ტუნჯო და სხვა კულტურები. ციტრუსების ნარგობა ახალია და ამიტომ — არამოსავლიანია. პირველ მსხმოიარობას ელიან მომავალ წლებში. ასევე არამოსავლიანია ფეიხოა და ტუნჯი. ჩაის მოსავლიანობა კი ჰექტარზე საშუალოდ 78.7 ცენტნერს შეადგენს.

მეურნეობის ბუნებრივი პირობები, ფართობის სიმცირიდან გამომდინარე, შედარებით ერთფეროვანია, სხველე მუშაობის შედეგად შესწავლილ ტერაიტორიაზე გამოვყავით შემდეგი მიკროლანდშაფტები: 1. ნოტიო სუბტროპიკების მთისპირეთის ღახრალი ვაკე-დაბლობი ალუვიური ნიადაგებით, კოლხური ტყის ელემენტებით და კულტურული მცენარეულობით; 2. ბორცვიან-ტერასულ მთისპირეთის წყალგამყოფი სერების ბრტყელი თხემები, კოლხური მცენარეულობით, ეწერა ნიადაგებით; 3. ხევ-ხრამებით დანაწევრებული ფერლობები ხელოვნური ტერასებით ყვითელმაწა ნიადაგებით და კულტურული მცენარეულობით.



მიუხედავად ერთგვაროვანი ლითოლოგიური შედგენილობისა და პაისის ასახებითად მსგავსი ჰირობებისა, აღნიშნული ლანდშაფტური ერთეულებზე ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გეომორფოლოგიური ნაირგვარობით, წყლიანობით, ნიადაგებითა და მცენარეთა ფორმაციებით. შესაბამისად ისინი სამიწათმოქმედო თვალსაზრისითაც განსხვავდებიან. ქვევით შევყვებით გეგმურად თითოეული მათგანის ძირითადი თავისებურებანი.

**1. ნოტიო სუბტროპიკების მთისპირეთის დახრილი ვაკე-დაბლობი ალუვიური ნიადაგებით, კოლხური ტყის ელემენტებით და კულტურული მცენარეულობით**

აღნიშნული ლანდშაფტი მეურნეობის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ფართო ზოლგნის სახით მდ. მდ. წარჩესწყლისა და შორჩეს ხეობების ძირზე. პირველს ვასდევს აჩიგვარა-ჩხორთოლის გზატკეცილი. ზედაპირი აგებულა მდინარეული რიყნარბთ, ქვიშებითა და თიხნარით. რელიეფის საშუალო დახრილობა მდ. წარჩესწყლის ვასწვრავ 1°-ზე ნაკლებია (3,5 კმ-ზე 112.4—68.4 44.0 ნეტრს უდრის).

საკვლევე ტერიტორიის ჰავა ბუნებრივ რესურსსაც წარმოადგენს. საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებულია ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ძბილი წემოდგომითა და ზანოროთ, გრილი გაზაფხულით და ცხელი ზაფხულით. აქ ვამოიყოფა ნოტიო ქვეზონა, კარგად გამონატული მუსონური ზაითის ქარებით და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულ-შემოდგომაზე. ჰავის რეჟიმი, სხვა ხელისშემწყობ პირობებთან ერთად, სოფ. წარჩესა და მისი მეზობელი მეურნეობების მეციტრუსეობის მიმართულებას ჩამოყალიბებაში ვადამწყვეტი როლი ითამაშა.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13,5°-მდე აღწევს. უცივესი თვის — იანვრის საშუალო ტემპერატურა 4.1° უდრის. უთბილესი თვის — აგვისტოსი 22,7° აღწევს. აღნიშნული თვეების ჰაერის საშუალო ტემპერატურება სხვაობა 18,6°-მდეა და საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე დაბალ მაჰვენებელს უახლოვდება. ჰაერის საშუალო სიჩქარე 1—2 მ/წმ უდრის. ძლიერ ქარიან (15 მ/წმ მეტი) დღეთა რიცხვი წელიწადში 7-მდე აღწევს. ეს ყველაზე უფრო მოსალოდნელია თებერვალში, მარტსა და აპრილში. ამდენად, იგი მიწათმოქმედებას დიდად არ უშლის ხელს, თუმცა ნარგავებს მექანიკურად აზიანებს.

მდ. წარჩესწყლის ხეობის აკუმულაციური ძირი საკმაოდ ვანიერია (დაახლოებით 500 მეტრი). წარმოდგენილია მცირე და საშუალო სისქის ალუვიური თიხნარი უკარბონატო, ბუნებრივად მალანაყოფიერი ნიადაგები. სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების ვატარების შემთხვევაში, წარმატებით შეიძლება ამ ნიადაგების ათვისება ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისათვის.

**2. ბორცვიან-ტერასული მთისპირეთის წყალგამყოფი სერების ბრტყელი თხემები, კოლხური მცენარეულობით, ეწერი ნიადაგებით**

წარმოდგენილია სხვადასხვა სიგანის თხემები, რომლებიც დახრილია სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ერთმანეთისაგან არიან ვამოყოფილი მდინარეებისა და მშრალი ხევეების მიერ. აგებულია მესამეული მერგელებით, ქვიშა-ქვებითა და კონგლომერატებით, რომლებიც ხშირად დაფარულია დელუვიური თიხნარის თხელი ფენით, თხემები ვამოყენებულია სამომოსვლო გზებით.



სათვის. მეურნეობის ტერიტორიაზე საშუალო მინიმალური და საშუალო მაქსიმალური ტემპერატურები  $+0,5^{\circ}$   $+28,0^{\circ}$  შორის მერყეობს. ხოლო აბსოლუტური მინიმალური და აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურები  $-18^{\circ}$   $+40^{\circ}$  აღემატება. აბსოლუტური ნაქისი (მინუს  $40^{\circ}$ ) ყველაზე მაღალია VI, VII და VIII თვეებში. ბუნებრივი მცენარეული შედარებით კარგად ამ მიკროკლიმატში ვითარდება. იგი წარმოდგენილია ტენის ნოყვარე კოლხური ტყის ნაყოფიერებით, როგორცაა მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, იფანი, ნიკრჩხალი, ცაცხვი და სხვ. ხეები შემოსილია კოლხური სუროთი. სხვა ღიაენიანი გვხვდება ეკალიძი, კატაბარდა, ღვედკეცი, მთვალის ბარდები. ქვეტყეში გვხვდება მურყანი, წყავი, ბაძგი, იელი და სხვ.

ადრე ტყეებს აქ თავს აუარებდა მგელი, ტურა, კვერნა; დღესაც გვხვდება პონტური ზღარბი, კავკასიური თხუნელა, მაჩვი, თავგი და სხვ. ამჟამად ბუნებრივი ტყე დიდ ნაწილზე გაჩეხილია, რამაც გამოიწვია ზოგიერთი ცხოველის ვადაწელება.

თხემურ ზოლში ტყე დატოვებული უნდა იქნას ბუნებრივ ქარსაცავად. ხელოვნურ ქარსაცავად ძირითადად გაშენებული აქვთ კრაბტომერია და ვეკალიბტი. წყალგამყოფების მიზნებზე ფერდობებზე, ხრამებისა და ხევების სათავეებში თხემურ ზოლთან და საერთოდ ერთობის მოსალოდნელი წარმოქმნის კერებში, უნდა გაშენდეს ნიადაგდამცველი ტყის კორომები.

საჭირო საიზოგებზე ბალახების ზოლებრივი თესვა, სასუქების გამოყენება, ძოვების ნაკეთმორიგობა და სარეველა ბალახებს წინააღმდეგ ბრძოლა.

### 3. ხევ-ხრამებით დანაწევრებული ფერდობები ხელოვნური ტერასებით უკეთესი ნიადაგებითა და კულტურული მცენარეულიებით

აღნიშნულ მიკროკლიმატს მეურნეობის ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს და განვრცობულია ფართო მასივების სახით ბრტყელი თხემებთან ხეობათა ძირამდე. შედარებით დამრეცად დახრილი ფერდობები ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილშია წარმოდგენილი. მეტი დახრილობა ახასიათებს ტერიტორიის ჩრდილო მაღალ ნაწილს. მეურნეობის ტერიტორიაზე არის სხვადასხვა ექსპოზიციის სუსტად ( $0-5^{\circ}$ ), საშუალოდ ( $5-20^{\circ}$ ) და ძლიერ დახრილი ( $20-30^{\circ}$ ) ფერდობი. იმ ფერდობებზე, რომლებზეც გაჩეხილია ტყეებუქმნარი, მოწყობილია და მომავალშიც უნდა მოეწყოს ხელოვნური ტერასები ციტრუსოვანთა გაშენებისათვის. უკეთესი იქნება თუ ტერასთა ზედაპირები უკეთესად მოეწყობა; ამით შევსლუდავთ ტერასების შუბლის ჩამორეცხვას და ხელს შევუწყობთ ტენის უფრო ეკონომიკურად გამოყენებას. (ი. ლეკვიანი, 1978). ფერდობების დატერასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მომავალში დამეწყვის თავიდან აცილება, ამიტომ სამხრეთ-დასავლეთისაკენ დახრილი შრეებით აგებული მეწყურსაშიში უბნები წინასწარ უნდა იქნეს გამოკლენილი. ტერიტორიის მიწათსარგებლობის ანალიზის შედეგად ირგვინა, რომ მეურნეობას ციტრუსოვანთა კულტურების ფართობის შემდგომ გაზრდისათვის ფართობის საკმარისი მარაგი გააჩნია (დაახლოებით 590 ჰა), რითაც იგი მზარდ პერსპექტიულ მეურნეობათა რიცხვს ეკუთვნის („საქსანმეპროექტის“ ფონდი, 1966).

ლომონოსოვის საჭირო სავეგეტაციო პერიოდში არაჩაკლებ 4000° საშუალო დღეღამური ტემპერატურის ჯამი, მანდარინისათვის 4200°, ფორთხლისათვის 4500°. შეწავლილ ტერიტორიაზე  $10^{\circ}$ -ზე ზევით ტემპერატურათა



ჯამი 4122°-ის რაოდენობით, საესებით საკმარისია სუბტროპიკული კულტურებისათვის. ატმოსფერული ნალექებით მეურნეობის ტერიტორია საკმარისი მდინარეა. მისი საშუალო წლიური ოდენობა 1570 მმ უდრის, რომელშიც უმარტივანბროდაა განაწილებული თვეებისა და სეზონების მიხედვით. ცნობილია, რომ ხანდარინი ტენისადმი მომთხოვნია აქტიური ევგეტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, გაზაფხულისა და ზაფხულის სიმშრალე უარყოფითად მოქმედებს ნაყოფზე, ხოლო შემოდგომის უნალექობა ნაყოფის ზრდას ხელს უშლის და იგი მცირე ზომისა რჩება. ციტრუსებისათვის ნიადაგის ოპტიმალურ ტენიანობად ითვლება ნიადაგის ტენის სრულტევადობის 60%. ევგეტაციის დაწყების მთავარი ფაქტორებია ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურის ოდენობა. ვანსაკუთარებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ტემპერატურას. ევგეტაციის დაწყებისას ნიადაგის ტემპერატურა 15—20 სმ სიღრმეზე 10—12°-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ჰაერის საშუალო ტემპერატურა +10° +14° უნდა უდრიდეს.

კოლხეთის გორაკ-ბორცვიანი რელიეფი ციტრუსების განვითარებისათვის ხელსაყრელია მზის რადიაციის, ნიადაგების, გრუნტის კარგი სადრენაჟო თვისებებისა და სხვათა გამო (საქართველოს სსრ აგროკლიმატური რესურსები, 1978), მაგრამ ზედაბირის მნიშვნელოვანი დახრილობა და ძლიერი დანაწევრება ამცირებს სანეიტრონო ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას.

ამრიგად, აღნიშნული ნიკოლოზდშაფტის ტერიტორია არის მეურნეობის ძირითადი საგარეული, სადაც ფერდობთა დატერასების პირობებში გაშენებულია და მომავალშიც უნდა გაშენდეს ყინვაგამძლე უწმიუს ჯიშის მანდარინისა და მეიერის ჯიშის უეკლო ლიმონის პლანტაციები. ფართობალი სითბოსადმი უფრო მომთხოვნია (-4°-ზე ბუჩქი ზიანდება, ხოლო -10°-ზე კი იღუპება), ამიტომ მისი გაშენება აქ არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, ვინაიდან მეურნეობის ტერიტორიაზე -4°-ის ტოლი და უფრო დაბალი მინიმალური ტემპერატურა 10 წელიწადში 9-ჯერ შეიძლება განმეორდეს (ე. ი. ალბათობა უდრის 90%). მასასადამე ფართობლის კულტურა 10 წლიდან 9 წელიწადს მოიყინება. ასევე უარყოფითად მოქმედებს ციტრუსებზე ზაფხულის მაღალი აბსოლუტური მაქსიმუმები (+40°), ამას შეუძლია გამოიწვიოს ნაყოფის ჩამოცივნა. გაზაფხულზე და ზაფხულში, აღმოსავლეთის მშრალი და თბილი ჟიონური ქარების დროს, საჭიროა ციტრუსების ხელოვნური რწყვა. მეურნეობაში ადგილობრივ წყლებს რწყვისათვის არ იყენებენ, თუმცა იგი საჭირო ღონისძიებას წარმოადგენს.

ტენის ბალანსი ანუ ჰადროთერმული კოეფიციენტი (ჰოკ) უარყოფითია მაისში 31 მმ და აგვისტოში 13 მმ ოდენობით. ჰექტარზე გადაყვანილ წყლის ეს დანაკლისი შეადგენს 310 მ³ მაისში და—130 მ³ აგვისტოში. ამგვარად, საჭიროა ჩატარდეს მეურნეობაში საევგეტაციო მორწყვა 310—350 მ³ რაოდენობით მაისის შუა რიცხვებამდე და 130—150 მ³ რაოდენობით, აგვისტოს პირველ დეკადაში.

ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებში, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებისათვის, შეიძლება მოეწყოს წვიმის დროს ჩამონადენი წყლების სპეციალურად მოწყობილ აუზებში შეგროვება.

ვინაიდან დაბალი ტემპერატურების განმეორების ალბათობა ჩვენს ტერიტორიაზე დიდია, ამასთან დაკავშირებით სუბტროპიკული კულტურების შენარჩუნებისა და ეფექტურად წარმოებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყინვისა და წაყინვებისაგან სათანადო დაცვითი ღონისძიებების ჩა-






ტარება, როგორცაა ღია გათბობა, შტამბის შეთეთრება, ნარგავების მოვლა და სხვ.

მეურნეობაში არსებული ყვითელმიწა ნიადაგების წაყოფიერების ამაღლებისათვის ეფექტურია ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება. აღიერ თავსხმა წვიმების შემთხვევაში, რომ არ მოხდეს ტერასების ჩამონგრევა, საჭიროა რელიეფის პირობების შესაბამისად ზედა ტერასებზე სხვადასხვა ნაწილში მოეწყოს წყალამრიდი კვლები, რომელთა ბოლოები შეუერთდება ბუნებრივ წყალსადენებს — ხეებს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო დავალებათა შესრულება სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოებაზე და, რომ შეიქმნას მეცხოველეობისათვის იაფი და მყარი საკვები ბაზა, საჭიროა გაუზიარდეს ნიადაგის გამოყენების ხარისხი, ამაღლდეს აგროტექნიკურ ღონისძიებათა ხასიათი, მოისპოს პლანტაციის მეჩხერიანობა, ორგანული და მინერალური სასუქები გამოყენებულ იქნას აგროქიმიური კარტოგრამების მიხედვით, გაუმჯობესდეს მცენარეთა დაავადებისთან და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებანი და სხვ.

ლიტერატურა

1. ლეკვეიშვილი ი., ცენტრსთანა წარმოების მეცნიერული საფუძვლები. I ნაწილი, თბ., 1978.
2. საქართველოს სსრ ვალს რაიონის სოფ. წარჩეს „კოლხიდას“ სასოფლო-სამეურნეო არტელის მწავთსარგებლობის ნიადაგები და მათი ხყოფიერების გადიდების ღონისძიებანი. საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აქსანნიპროექტის“ ფონდი, 1966.
3. საქართველოს სსრ ლანდშაფტური რუკა, მოსკოვი, 1970.
4. Агроклиматические ресурсы Грузинской ССР, Гидрометеиздат, Ленинград, 1978.



### ქართული საბჭოთა ეკონომიკური გეოგრაფიის ისტორიისათვის რომან კვიციანიძისადმი


ეკონომიკური გეოგრაფია, მთლიანად გეოგრაფიული მეცნიერების მსგავსად, საქართველოში ოქტომბრის რევოლუციამდე იქმნებოდა, მაგრამ მისი, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება მხოლოდ საბჭოთა პერიოდში მოხდა. პიროვნულად ეს დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, გვარად უცხო, მაგრამ სულითა და გულით ნამდვილი ქართველის, პროფესორ გიორგი გვებრიანის სახელთან. რასაკვირველია, გეოგრაფიული მეცნიერება და მისი ცალკეული დარგები საბჭოთა საქართველოში შეიქმნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და სახელოვანი მამულიშვილის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით.

სამამულო ეკონომიკური გეოგრაფიის ისტორიაში საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით მხოლოდ ორი წიგნია დასტამბული. ეს არის კოლექტიური ნაშრომები (6, 7). გარდა ამისა, აღსანიშნავია რამდენიმე შრომა, მიძღვნილი ცალკეული ეკონომ-გეოგრაფებისადმი (კ. არსენიევი, პ. სემიონოვ-ტიან-შანსკი და სხვ.), რომლებშიც ამ მეცნიერების ისტორიის ესა თუ ის მნიშვნელოვანი საკითხებია გაშუქებული. უნდა ითქვას აგრეთვე სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის მიერ გამოცემული რამდენიმე თემატიკური კრებულის შესახებ, რომლებიც მიძღვნილია ეკონომიკური დარაიონების, მოსახლეობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემებისადმი. ზოგიერთ ამ წიგნში ქართული ეკონომიკური გეოგრაფიის მეცნიერული მიღწევები საკმაო სისრულითაა ასახული (4).

მაგრამ, როგორც საბჭოთა ეკონომიკური გეოგრაფიის ჯერჯერობით ერთადერთი კლასიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ნ. ბარანსკი წერდა (3), აღნიშნულ საკითხზე შრომები სრულებითაც არ არის საკმარისი. საჭიროა იქმნებოდეს ამგვარი შრომები განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკებში, ნათელი ეფინებოდეს ეკონომიკური გეოგრაფიის ისტორიას არა მარტო მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში (მოსკოვი, ლენინგრადი), არამედ ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის საქართველოში.

<sup>1</sup> მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარს 1981 წლის 28 იანვარს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოგრაფიული სპეციალობის პროფესორ-მასწავლებელთა სემინარს 1981 წლის 12 ნოემბერს.






ჩვენთან, საქართველოში, მეცნიერული ეკონომიკური გეოგრაფიის ისტორია ფაქტიურად დაუშუშავებელია. ამ საკითხზე დღემდე მხოლოდ ერთი დე პუბლიკაცია არსებობს. მხედველობაში გვაქვს: გ. გველესიანის მოხსენებებს თეზისები (1) და რ. კვერენჩილაძის წიგნი (2); სადაც კრიტიკულად შეფასებული საქართველოში ეკონომიკურ-გეოგრაფიული მეცნიერების ფუნდამენტის პროფ. გ. გეხტმანის ყველა ძირითადი შრომა, ამ შრომებში გატარებული მთავარი დებულებანი, რითაც მიჩნეულია მისი ადგილი საქართველოს გეოგრაფიაში და ამდენად მოცემულია ჩვენში ეკონომიკური გეოგრაფიის ისტორიაც, მოსახლეობის გეოგრაფიის სფეროში გეოგრაფიის ისტორიკულ სამუშაოებს მიმოხილვა ეკუთვნის ვ. ჯაფარიძეს (გეოგრ. საზ. შრ., ტ. XII). გეოგრაფიული საზოგადოების ფონდებში არსებობს გ. ზარდალინიძის მიმოხილვითი ზასიათის ხელნაწერი შრომა „ეკონომიკური გეოგრაფიის განვითარება საქართველოში 40 წლამ მანძილზე (1921—1961)“.

ქართული გეოგრაფიული მეცნიერებისა და, კერძოდ, ეკონომიკური გეოგრაფიის მამამთავრად აღიარებულია დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის შესანიშნავი შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ კარგად სისტემატიზებული სამეურნეო ცნობებს გადმოცემისა და საქართველოს ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების იმდროინდელი დაზასიათების საუკეთესო ნიმუშია. გასული საუკუნის მეორე ნახევარამდე ვახუშტის შრომა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი და ამასთან უძვირფასესი წყარო იყო საქართველოს გეოგრაფიაში.

კავკასიისა და, პირველ რიგში, საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ, რომელიც დაარსდა თბილისში 1850 წელს. მან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აწარმოდა კავკასიის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სტატისტიკური შესწავლა, გამოსცა პერიოდული შრომები: «Записки КОИРГО» (30 ტომი) და «Известия КОИРГО» (25 ტომი), აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი შრომები. მაგალითად, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», «Кавказское сельское хозяйство», «Кавказский календарь», газета «Кавказ» და სხვ. აღნიშნული პერიოდული გამოცემების შედეგად საკმაო მოცულობით დაგროვდა ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის მასალა. ასეთ მასალებს შეიცავდა განსაკუთრებით თ. განის, გ. რადეს, რ. ერისთავის, დ. ბაქრაძის, თ. სახოკიას და სხვათა თხზულებანი. საერთოდ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების შრომების დღევანდელობასთან მიმართებაში შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს საქმე თავის მკვლევარ-გეოგრაფს ელის.

საქართველოს და მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხებზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გ. გეხტმანის შრომების გამოქვეყნებამდე (მისი პირველი შრომა გამოცემა 1912 წელს) არც ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი არ მოაპოვებოდა, თუ არ ვიგულისხმებთ, რასაკვირველია, ვახუშტის დასახელებულ წიგნს. გ. გეხტმანის წიგნები მოიცავენ საკითხების ფართო წრეს ეკონომიკური გეოგრაფიიდან, გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიიდან, აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიიდან, ისტორიიდან, სოფლის მეურნეობის ეკონომიიდან, სტატისტიკიდან და ა. შ. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მეცნიერის ამ შრომებზე, ფანსაკუთრებით საქართველოსა და მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფიისადმი მიძღვნილ ცნობილ წიგნებზე აღი-



საქართველოს  
ენციკლოპედია

ზარდა ქართველ გეოგრაფთა, ეკონომისტთა, ისტორიკოსთა არაერთი თაობა. გ. გებტმანმა 1907 წელს დაიწყო ლექციების კითხვა ეკონომიკურ გეოგრაფიაში. ამ დროისათვის ეს დისციპლინა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქა-იქ თუ იკითხებოდა. ასე რომ, მას ამ საქმეში ერთგვარი პიონერული როლი ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში მაინც. ახალგაზრდა მეცნიერმა ჯერ კიდევ 1899 წლიდან საკუთარი სახსრებით არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო ამიერკავკასიაში. იგი, თუმცა გეოგრაფიაში ეკონომიკურ-ისტორიული მეცნიერებებიდან მოსული პიროვნება იყო, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საექსპედიციო მეთოდს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი საბჭოთარი ეკონომიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი დამაბასიათებელი ნიშანია და იგი ფართოდ გამოიყენება ყველა შემდგომი თაობის ქართველ ეკონომ-გეოგრაფთა მიერ.

სათანადო შრომების შექმნით, საექსპედიციო გამოკვლევებითა და ლექციების კითხვით გ. გებტმანმა საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიისა და განაკუთრებით საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ შესწავლას. ეკონომიკურ და პოლიტიკურ გეოგრაფიაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1923 წელს თბილისის უნივერსიტეტში ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის დაარსებას, რომელაც 1934 წლამდე ეკონომიკის ფაკულტეტთან არსებობდა. დაარსებიდანვე კათედრას ხელმძღვანელობდა გ. გებტმანი. აღნიშნული კათედრის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გადმოსვლას დადასტურებდა ჯეოს აკად. ალ. ჯავახიშვილი. გ. გებტმანმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა მათემატიკის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ შესწავლას. 1925 წელს მან გამოსცა სქელტანიანი შრომები საქართველოსა და მათემატიკის ეკონომიკური გეოგრაფიის შესახებ. ეს იყო პირველი წიგნები საერთოდ ქართულ ენაზე ეკონომიკურ გეოგრაფიაში. გ. გებტმანმა, ერთ-ერთმა პირველმა ამიერკავკასიაში, შეასწავლა ალბიური ჰეურნეობა.

1944—1945 წლებში გ. გებტმანმა შექმნა შრომა «Проект схемы эк.-геог. район. Груз», რითაც მოგვევლინა პირველ ქართველ ეკონომ-გეოგრაფად, რომელმაც საქართველოს კომპლექსური (ზოგად-ეკონომიკური) დარაიონება მოგვცა. ავტორმა შეიმუშავა რესპუბლიკის დარაიონების ორიგინალური, თავისი დროისათვის და ამჟამადც საინტერესო სქემა, გამოყო რა 4 ცირითადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რაიონი ქვერრაიონებითა და სამეურნეო მიზნადულობის ცენტრებით და, რაც მთავარია, მოგვცა მათი მოკლე, მაგრამ ტევადი დახასიათება. გ. გებტმანმა, როგორც შემდგომი დარაიონების წინამორბედმა, ხელი შეუწყო რესპუბლიკის სრულყოფილი ეკონომიკური დარაიონების ბადის შექმნას. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ეკონომიკური გეოგრაფიის ისტორიისადმი მიძღვნილ სპეციალურ შრომაში (7, გვ. 57) ცნობილი საბჭოთა ეკონომ-გეოგრაფი, ჩვენი მეცნიერების გამოჩენილი მთაბაგე, პროფ. ი. სალუკინი სასებათ სამართლიანად აღნიშნავს, რომ «на работах по экономическому районированию на местах выросли такие крупные экономико-географы, как К. Н. Миротворцев в Иркутске, В. А. Танаевский в Вятке, Г. Н. Гехтман в Тбилиси, А. Е. Пробст в Харькове и др.»

საერთოდ ქართველ ეკონომ-გეოგრაფთა მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ინთავითვე იყო ეკონომიკური დარაიონება, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხელს უწყობს საწარმოო ძალთა რაციონალურ ტერიტორიულ ორგანიზაციას, დარაიონებას საკითხი მეტად აქტუალური იყო ჩვენი ქვეყ-





ნის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის პრაქტიკულად განხორციელებასათვის და ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მას განსაკუთრებული ყურადღებას აქცევდნენ არა მარტო მოსკოვსა და ლენინგრადში, არამედ ქვეყნის ცალკეულ რაიონებშიც.


საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკური და რაიონების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ს. ტიმოფეევის, ვ. ჩუბინისა და სხვათა დარგობრივი დარაიონების სტენებმა, რომლებიც შექმნა ჯერ კიდევ 20-იან წლებში. უფრო გვიანდელი პერიოდის დარგობრივი ეკონომიკური და ბუნებრივი დარაიონების მიზნით უაღრესად სასარგებლო მუშაობა გასწია მეცნიერ-ეკონომისტთა ჯგუფმა ნ. კუპჩუკის, პ. ქლენტის, მ. რჩეულაშვილის, კ. როგავასა და ლ. ცალქალამანიძის შემადგენლობით; აგრეთვე ნ. იაშვილმა, ნ. ლაჭუებიანმა და სხვებმა.

დიდ საინჟინო ომამდე ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გამოკვლევებს უპირატესად დარგობრივი მიმართულება ჰქონდა, მუშაობა მეტწილად სტატისტიკური და სხვა მასალების შეგროვება-ანალიზში გამოიხატებოდა, ომის შემდგომი წლებიდან გამოკვლევები უფრო მეტად დაუკავშირდა სოციალურ-სახალხო მურნეობის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. ამან კითხვის მხრივ, გამოიწვია სავსე ეკონომიკურ-გეოგრაფიული კვლევის მეთოდის კრიტიკულად გადახედვა. დრომ მოითხოვა ვ. გუბმანის მიერ ჯერ კიდევ 1927 წელს შედგენილი და განმეორებით 1935 წელს გამოცემული „სოფლის, დაბის, ქალაქის, კურორტის ან რაიონის გეოგრაფიული და ეკონომიურ-გეოგრაფიული აღწერის სანიმუშო პროგრამების“ შეცვლა. დაიწყო ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების შესრულება როგორც დარგობრივი, ისე რაიონული მიდგომით.

უკანასკნელი სამი-სამნახევარი ათეული წლის განმავლობაში ეკონომიკური გეოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთავარი მიმართულება საქართველოს ტერიტორიის დეტალური კომპლექსური შესწავლაა, ამ მხრივ წამყვანი როლი ეკუთვნის საბ. გეოგრაფიის ინსტიტუტს ე. უთენის, რომელმაც აწარმოვა რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მსხვილ-ნაშუაბიანი ეკონომიკურ-გეოგრაფიული აგეგმვა ეკონომიკური დარაიონების იმ ბაღის საფუძველზე, რომელიც ამა თუ იმ ეტაპზე მიღებული ჰქონდა ინსტიტუტს. მუშაობა მიმდინარეობდა ცალკეულ რაიონებში სამეცნიერო-ექსპედიციების ჩატარებისა და მოპოვებული მასალების კამერალური დამუშავების გზით, რა თქმა უნდა, ლიტერატურული წყაროების გამოყენებით. ინსტიტუტთან ერთად კომპლექსურ ექსპედიციებს ატარებდა თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა. უფრო ადრე, კერძოდ, სამამულო ომის დაწყებამდე ეკონომიკურ-გეოგრაფიული საკითხებს შესწავლას (სხვა საკითხებთან ერთად) ითვალისწინებდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების რამდენიმე მსხვილი ექსპედიცია.

ბუნებრივია, გამოკვლევების პარალელურად დაიხვეწა საექსპედიციო სიმუშაობის მეთოდური მხარე. შემთხვევითი არ იყო, რომ 1950 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე შემოღებულ იქნა ახალი სასწავლო კურსი „სავსე ეკონომიკურ-გეოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია“.

საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების ინტენსიური შესწავლა განსაკუთრებით გაძლიერდა 50—60-იან წლებში. ამიერიდან ეკონომიკურ-გეოგრაფია გამოკვლევებში უფრო მყარად დამკვიდრდა საექსპედიციო მ-



ადი, რაიონებია შესწავლა ხორციელდებოდა პროგრამით, რომელიც მიხედვით შემდგომი საკითხების წრეს მოიცავდა: რაიონების ზოგადი ეკონომიკური-გეოგრაფიული ნიშნები; ბუნებრივი პირობების (მოგვიანებით შექმნილი კომპლექსის) და მათი ცალკეული ელემენტების დასახაიებენა საჭურნეო შეფასებით; თანანდროფ მეურნეობრივი სახის ფორმირების პროცესი ანუ ისტორიულ-გეოგრაფიული წარსული; მოსახლეობა როგორც ძირითადი საწარმოო ძალა და ქალაქები; მრეწველობა (მოგვიანებით სამრეწველო კომპლექსი); სასოფლო-სამეურნეო წარმოება (აღბათ უახლოესი მომავლიდან — აგროსამრეწველო კომპლექსი); ტრანსპორტი და ეკონომიკური კავშირები; კურორტები და ტურიზმი; მომსახურების სფერო; შიდარაიონული ეკონომიკურ-გეოგრაფიული სხვაობანი; მეურნეობრივი განვითარების პერსპექტივები და ა. შ.

რაიონული გამოკვლევების ნელი ტემპით, მაგრამ თანდათანობითმა განვითარებამ დღის წესრიგში აქტუალურ საკითხად დააყენა რესპუბლიკის ტერიტორიის ეკონომიკური დარაიონების საკითხის შემდგომი სრულყოფა. აქეთ დარაიონების პრობლემის ირგვლივ თმისშემდგომი პერიოდის სხვადასხვა ეტაპზე ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ცნობილმა ქართველმა გეოგრაფებმა: ალ. ჯავახიშვილმა, გ. გეტმანმა, ლ. კარბულაშვილმა, გ. ზარდალიშვილმა, გ. გველესიანმა. განსაკუთრებით უნდა ითქვას საქართველო ეკონომიკური დარაიონების იმ ვარიანტის შესახებ, რომელიც ამჟამადა მიღებული და რომლის ავტორია ვახუშტის საა. გეოგრაფიის ინსტიტუტი. პიროვნულად ამ დარაიონების მეცნიერული დასახუთება ეკუთვნის გ. გველესიანს. პირთოდ პროფ. გ. გველესიანის მოღვაწეობა საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიის ისტორიაში საეტაპოა. თუ გ. გეტმანის მუშაობა ამ მეცნიერების სფეროსის ჩაყრისა და მისი განვითარების პირველი ეტაპი იყო, გ. გველესიანის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის ანალი, ვადრმავეებული კვლევის პერიოდი. მეცნიერის უშუალო დამსახურებაა რესპუბლიკაში ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გამოკვლევათა ფართოდ გაჩაღება, ამ სერიის ლიტერატურის მრავალტომიანი ფონდის შექმნა, სამეცნიერო კადრების აღზრდა. მრავალია ის სფერო, რომელშიც გ. გველესიანს ცხოვრობდა სპეციალისტებისაგან სანგარიშგასაწევი დებულებები ეკუთვნოდა. მისი შრომები ესებოდა საწარმოო ძალების განვითარება-განლაგებას, მოსახლეობისა და ქალაქების გეოგრაფიის, სამრეწველო კვანძების ფორმირებას, ეკონომიკური გეოგრაფიის ზოგად თეორიას, ეკონომიკურ დარაიონებას და სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული მეცნიერებისათვის აქტუალურ საკითხებს.

გ. გველესიანის შრომებიდან განსაკუთრებული მეთოდოლოგიურ-მეთოდურ-ნიშნელობა ჰქონდა წიგნს «Развитие и размещение социалист. произв. в СССР» (Тб., 1965), რომელშიც ზეგრა საყურადღებო ახლებური დებულება მოცემული. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში გ. გველესიანის მოღვაწეობის პერიოდში ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევები წარმართა როგორც რაიონული, ასე დარგობრივი მიმართულებით (ძირითადად საქართველოს მასშტაბით). ვარდა ამისა, თბილისის უნივერსიტეტში შესრულებულ იქნა რამდენიმე შრომა (დისერტაციების სახით) მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, რომლის ინიციატორი იყო ნ. ნაჭყებია.

50-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში გამოიკა 3 ათეულზე მეტი კოლექტიური მონოგრაფია-კრებული როგორც ნთლიანად საქართველოს, იე მისი ცალკეული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შესახებ. ამ,






ჩვენი აზრით, საქართველოს გეოგრაფიისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოდეს პუბლიკაციებს, წინ უძღოდა კომპლექსური ეკონომიკურ-გეოგრაფიული დიდი ციკლის (იგულისხმება ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციები) ჩატარება სხვადასხვა რაიონში (ქრონოლოგიურად): ქლუბორს (1948 წ.), სამცხის (1949 წ.), ჯავახეთის (1950 წ.), შიდა ქართლის (1951 წ.), შიგნით კახეთის (1952 წ.), გარე კახეთის (1953 წ.), ქვემო ქართლის (1954 წ.), თბილისისა და მამლუხის რაიონების (1955 წ.), ზემო ინგურეთის (1956 წ.), ქვემო ინგურეთის (1957 წ.), რაჭა-ლეჩხუმის (1958 წ.), აფხაზეთის (1959 წ.), აჭარის (1960 წ.), გურის (1962 წ.), სამეგრელოს (1963 წ.), სვანეთის (1964 წ.). 1965—1968 წლებში მოეწყო ცალკეული სექსპედიციო ჯგუფების გასლა სხვადასხვა რაიონში; ჭიათურა-ზესტაუნის სამრეწველო კვანძის (1969 წ.), ქუთაისის სამრეწველო კვანძის (1970 წ.), თბილისი-რუსთავის სამრეწველო კვანძის (1972 წ.), ნესხეთ-ჯავახეთის (1973 წ.), კახეთის (1974 წ.), შიდა ქართლის (1976 წ.), ქვემო ქართლის (1977 წ.), აღმოსავლეთ კავკასიონის (1979 წ.).

კომპლექსური ეკონომიკურ-გეოგრაფიული ექსპედიციები ტარდებოდა უნივერსიტეტშიც. კერძოდ, 1950 წ. ასეთი ექსპედიცია ჩატარდა ქვემო ქართლში, 1951 წ. — სამხრეთ ოსეთში, 1952 წ. — აღმოსავლეთ კავკასიონზე, 1953 წ. — ახმეტა-თელავის რაიონებში, 1955 წ. — თბილისის გარეუბნის რაიონში და სხვ. ამ ექსპედიციებში მონაწილეობდნენ და კვლევით თემებს ასრულებდნენ გ. გეხტმანი, ტ. ათაბეგოვი, გ. ზარდალიშვილი ვ. ბურჯანაძე, შ. სახიკიძე, ვ. კაკაბაძე, ე. მესხი, ნ. ილაშვილი-გეხტმანი და სხვ.

აღნიშნულ ექსპედიციებს, განსაკუთრებით გეოგრაფიის ინსტიტუტში, კოლექტიური მონოგრაფიები მოჰყვებოდა ხოლმე თან. ამ კრებულებს ჰქონდა არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული ღირებულებაც. რამდენადაც ისინი ხელს უწყობდნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოო ძალთა გეგმიან განლაგებას, ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსების გამოკვლევასა და მათ ათვისებას<sup>2</sup>.

კოლექტიური წიგნების გარდა დაისტანბა მეცნიერული მონოგრაფიებიც, რომელთაც საკმაო გამოხმაურება ჰქონდა. დარგობრივი მიმართულებით ეკონომიკურ-გეოგრაფიული შრომებიდან შედარებით გამოიკვეთა გამოკვლევები მოსახლეობის გეოგრაფიაში, რაც დაკავშირებულია ვ. ჯაოშვილის სახელთან. საერთოდ მისი მოღვაწეობა ვ. გველესიანთან ერთად ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში მეტად ნაყოფიერი იყო, მან ხელი შეუწყო ქართველ ეკონომ-გეოგრაფთა აღიარებას საკავშირო მასშტაბით. ვ. ჯაოშვილის შრომებიდან უნდა აღინიშნოს პირველ რიგში «Население Грузии» (Тბ., 1968), რომელმაც სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების პ. სემიონოვ-ტიან-შანსკის სახელობის ოქროს მედალი მიიღო და «Урбанизация Грузии, генезис, процессы, проблемы» (Тб., 1978). წარსულ წლებში მოსახლეობის ეკონომიკურ-გეოგრაფიული თემატიკა და სოციალური გეოგრაფიის სხვა საკითხები მუშავდებოდა თბილისის უნივერსიტეტში (ვ. გუჯაბიძე, რ. ვაჩეილაძე

<sup>2</sup> ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ამ კრებულების ავტორებია არიან: კ. ანთაძე, მ. ბოკერია, ვ. ბერიძე, გ. გეხტმანი, შ. ვოგებაშვილი, გ. გურგენიძე, ა. გველესიანი, ვ. გველესიანი, ნ. დორეული, ნ. დევიძე, ვ. ზარდალიშვილი, ე. ზონენაშვილი, ა. თევზაძე, ვ. კაკაბაძე, ლ. კარბელაშვილი, რ. კვერცხიანი, ე. კობახიძე, შ. მესხია, ა. მინცი, ი. მიქელაძე, ნ. ნაჭვია, ე. ნიძი, ნ. ნიჭარაძე, ს. როზანცევი, ნ. სულხანიშვილი, ვ. ტივაძე, დ. ულაძე, ე. ქოჩიანი, თ. ღვინაძე, მ. შარაშიძე, ა. შაქარაშვილი, შ. შენგელაია, ნ. შერაია, ლ. ხუტუნაშვილი, ა. ჯავახიშვილი, ვ. ჯაოშვილი.



და სხვ.). კვლევის ეს სფერო ანუამად უნივერსიტეტის ეკონომ-გეოგრაფიკულ  
 ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო მიმართულებაა.


ქართველი ეკონომ-გეოგრაფების მიერ ფართო რეზონანსის მქონე  
 ნიშნა სახალხო მეურნეობის დარგების გეოგრაფიულ პრობლემებზე. მათგან  
 უნდა დასახელდეს რ. კვერცხილაძის «Географ. проблемы транспорта  
 Грузии» (Тб., 1976), ე. კობახიძის «Промышленно-территориальные  
 системы союзн. республик» (Тб., 1979) და სხვ.

აქართველოში ეკონომიკურ-გეოგრაფიული კვლევა-ძიების სფეროში სა-  
 პტიოდ ადგილი ეჭირა ეკონომიკური კარტირების საკითხებს. ამის საილუსტრა-  
 ციოდ გამოდგება 1964 წელს გამოცემული საქართველოს სსრ კომპლექსურ-  
 გეოგრაფიული ატლასი ეკონომიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკური შინა-  
 რაის მრავალრიცხოვანი რუკით, რასთვისაც ავტორთა კოლექტივთან  
 ერთად გ. ვეღუესიანსა და ვ. ჯაოშვილს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრე-  
 მია მიეკუთვნათ. აქვე უნდა ითქვას, რომ საერთოდ, ქართველ გეოგრაფთა  
 შრომებში ეკონომიკური კარტირების პრობლემატიკა, ამ უაღრესად გეო-  
 გრაფიულ ნაწილს ჩვენი გამოკვლევებისას, საჭირო ყურადღება არ ეთმო-  
 ბოდა და არ ეთმობა ამჟამადაც.

რესპუბლიკაში ეკონომიკურმა გეოგრაფიამ, შეიძლება ითქვას, ნიშნე-  
 ლივანი წარმატებები მოიპოვა კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზა-  
 დების საქმეში. წარმატებით იქნა დაცული სადოქტორო და საკანდიდატო  
 დისერტაციები. ამჟამად საქართველო ეკონომიკურ გეოგრაფიაში მღვდწე-  
 თს გეოგრაფიულ მეცნიერებათა 4 დოქტორი (რესპუბლიკაში გეოგრაფიის  
 სფეროში მუშაობს სულ მეცნიერებათა 22 დოქტორი).

ჩვენი აზრით, ინტერესმოკლებული არ იქნება ადვნიშნით საქართველოში  
 დისერტაციების დაცვის მოკლე ისტორია, ყოველ შემთხვევაში ადრეულ  
 ეტაპზე მაინც. პირველი დისერტაცია ეკონომიკურ გეოგრაფიაში საქართველო-  
 ში, კერძოდ თბილისის უნივერსიტეტში, დაცულ იქნა ზ. ალიფეცის (ახერბაი-  
 ჯანი) მიერ 1939 წელს თემაზე «Апшерон как овощная база» გეოგრ.  
 მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად გ. გებტმანის ხელ-  
 მძღვანელობით. ქართველთაგან პირველი საკანდიდატო დისერტაცია ქუნი-  
 ვერსიტეტშივე დაცვა ნ. ნიჟარაძემ თემაზე «აჭარის ალბური ნეურნეობა»  
 (1944 წ.). მომდევნო იყო გ. ზარდალიშვილი — „მთათუშეთი, ეკონომიკურ-  
 გეოგრაფიული დახასიათებისათვის“ (1947 წ.), ს. უგულავა — „ქლუხორის  
 რაიონი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის“ (1950 წ.), ვ. კაკა-  
 ბაძე — „შიდა ქართლი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის“  
 (1950 წ.) და სხვ. პირველი სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკურ გეოგრაფია-  
 ში ქართველთაგან დაცვა გ. ზარდალიშვილმა 1961 წელს მოსკოვის სახელმ-  
 წიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური დარაიონების საკითხებზე. ყველა აღ-  
 ნიშნული საკვალიფიკაციო თემა მომზადებულ და დაცული იქნა გ. გებტმანის  
 ხელმძღვანელობით. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საერთოდ პირველი სა-  
 კანდიდატო დისერტაცია გეოგრაფიაში საქართველოში დაცულ იქნა გ. კი-  
 რიაქაძის მიერ თემაზე: «Климатические условия курорта Бахмаро»  
 (1936 წ.), შემდეგი იყო შ. ყოფიანის „შაორის გამოქვაბულის გეომორფოლო-  
 გისათვის“ (1941 წ.), თ. ნუცუბიძის „დასავლეთ საქართველოს მდინარეთა  
 რეჟიმის ტიპები“ (1941 წ.) და ა. შ. პირველი სადოქტორო დისერტაცია სა-  
 ქართველო გეოგრაფიაში იყო ბ. ყაერისვილის «Ландшафт-гидрол. зоны  
 Грузии» (1940 წ.).





ქართველ გეოგრაფთა შრომებში სათანადო ყურადღება ემცემა მნიშვნელოვან სფეროს, კერძოდ თეორიული ანუ ზოგადი ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხების შესწავლას. ამ მხრივ ნოხსენებული უნდა იქნას ალ. ჯავახიშვილის „ახალი მიმართულება გეოგრაფიაში“ (1924 წ.), გ. გუბაშის „გეოგრაფიული მეცნიერების ამოცანები და შედეგნილობა“ (1944 წ.), ვ. გველესიანის «Об основах социалистич. размещения производства» (1961 წ.), ალ. ასლანიავის «Метакартография» (1974 წ.), თუცა თეორიული ძიების წარმატებული ცდები მოცემულია სხვა გეოგრაფების რეგულარულ მონოგრაფიულ გამოკვლევებშიც.

60-70-იან წლებში ქართველ ეკონომ-გეოგრაფებს, კერძოდ გეოგრაფის ინსტიტუტში ვ. გველესიანის ხელმძღვანელობით, ნაწილობრივ უნივერსიტეტში რუსულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი, რომლებსაც საკუთრივ და საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო და, ამდენად, პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

დაწყებული 1926 წლიდან, ანუ გრანატის ენციკლოპედიაში ვ. გუბაშის მიერ საქართველოს შესახებ სტატიის გამოქვეყნებიდან, საქართველოში ნაყოფიერი მუშაობა ტარდებოდა და ტარდება სხვადასხვა უცხოური თუ საბჭოთა ენციკლოპედიისათვის ეკონომიკურ-გეოგრაფიული შინაარსის სტატიების მომზადების მხრივ (ვ. გველესიანი, აგრეთვე ვ. ჯაოშვილი, გ. ზარდალიშვილი, რ. კვერენჩილაძე, ვ. კობახიძე და სხვები).

საგანგებოდ უნდა ითქვას ეკონომ-გეოგრაფების ნაყოფიერი ანეცდენტული-პედაგოგიური მუშაობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, პირველ რიგში, თბილისის უნივერსიტეტში, აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ საქმეში უნდა აღინიშნოს ვ. გუბაშის, ტ. ათაბეგოვის, შ. სანიკაძის, ლ. კარბელაშვილის, ვ. ზარდალიშვილის, ნ. ნიყარაძის, ვ. ბურჯანაძის, ს. უგულავას, ვ. კვიციანიძის, ნ. ნაჭყებიაძის, შ. ლომიასა და სხვათა საქმიანობა. სასწავლო გეოგრაფიის თვალსაზრისით თვალს თუ გადავაკლებთ უფრო ადრეულ, საბჭოთამდელ პერიოდს, განსაკუთრებული მოწიწებით უნდა მოვიხსენიოთ დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, მისი „ბუნების კარი“. ეს წიგნი ხომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა (და დღესაც წარმოადგენს) ქართველი ახალგაზრდობისათვის საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა და ენის განუყოფელ სახელმძღვანელოს.

ვაფასებთ რა ქართული ეკონომიკური გეოგრაფიის განვითარების მთავარ მომენტებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იმ მეცნიერ-ეკონომისტთა შრომების შესახებ, რომლებმაც კეთილსამყოფელი გავლენა იქონიეს ეკონომიკურ-გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაზე ჩვენში. ასეთი შრომები შეასრულეს ნ. იაშვილმა, ი. მიქელაძემ, ვ. მელქაძემ და სხვებმა.

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და ამასთან სოციალური პრობლემებისადმი გაზრდილი მოთხოვნილებების პირობებში მნიშვნელოვანი ამოცანები ისახება საერთოდ გეოგრაფიული მეცნიერებისა და კერძოდ მისი იმ შტოს წინაშე, რომელსაც აბლებურად „ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია“ ეწოდება. ქართული ეკონომიკური გეოგრაფიის ამჟამინდელი პრობლემური დონე იმის საწინდარია, რომ ეს დისციპლინა საბატიო წვდოლს შეიტანს ეროვნული მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.



ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ქართულმა ეკონომიკურმა გეოგრაფიამ თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით ვარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მნიშვნელოვნად განვითარდა ეკონომიკურ-გეოგრაფიული აზროვნება, რითაც არსებითი წვლილი იქნა შეტანილი საერთოდ ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში.

ლიტერატურა

1. გველეხიანი გ. — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევები ეკონომიკურ გეოგრაფიაში. გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებთა თეზისები, თბ. 1961.
2. კვერცხილაძე რ. — ვთორგი ვებტმანი, თბ., 1969.
3. Баранский Н. Н. Об изучении отечественной экономической географии, журн. «География в школе», 1962, № 4.
4. Итоги науки и техники. География СССР, т. 10 — География транспорта, М., 1973.
5. Итоги науки и техники. География СССР, т. 12 — Современные проблемы экономической географии СССР, М., 1976.
6. Отечественные экономико-географы (XVIII—XX вв.), М., 1957.
7. Экономическая география в СССР. История и современное развитие, под ред. Н. И. Баранского, И. П. Никитина, В. В. Покшищевского, Ю. Г. Саушкина, 1965



## ГЕОГРАФИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ПРОСТРАНСТВЕННОЙ ОРГАНИЗАЦИИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА ПРИГОРОДНОЙ ЗОНЫ Г. ТБИЛИСИ

Н. А. КЕКЕЛИА

2. გ. ლოწინიძის იდეების განვითარება მარგანცის და ბენტონიტების საბადოების წარმოშობაზე.  
მოხსენებელი — გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნ. კანდიდატი გ. მ ა ნ ა ბ ე ლ ი.  
გარდა ამისა, იყო მოგონებებით გამოსვლაც.

წაკითხულ მოხსენებებიდან წინამდებარე კრებულში ვაქვეყნებთ პირველს.

1981 წლის 1 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ალექსანდრე ანტონას ძე თვალჭრელიძის დაბადებიდან 100 წლისთავიადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. კ. ხ ა რ ა ძ ე მ.

ა. ა. თვალჭრელიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა ვ. ი. ბ ე ა ძ ე მ.

მოგონებებით გამოვიდნენ — ა. ს. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, გ. ვ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. თ. თ ა თ რ ი შ ვ ი ლ ი, გ. ა. ქ ი მ ე თ ი ა ნ ი, ს. მ. ჯ თ რ ბ ე ნ ა ძ ე, ვ. ი. ტ ო ვ ო ნ ი ძ ე, მ. ს. მ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი.

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა სპეციალური სესია, რომელზედაც გამოტანილი იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. ა. ა. თვალჭრელიძე და არამადნეული ნედლეულის კვლევა — ვ. პ. ბ ე ტ რ ო ვ ი.

2. ა. ა. თვალჭრელიძის იდეების პროგრესულობა ფენობრივი სილიკატების კვლევის საქმეში — თ. დ. ო ვ ჩ ა რ ე ნ კ ო.





3. თიხური მინერალების შეცვლის პროდუქტების აქტიურობის რეზილენსი — ო. მ. მჭედლოვი — პეტროსიანი.
4. თიხური მინერალების ჰიდროფილობის კრისტალოქიმიური კანონზომიერებანი — ვ. ი. ოსიპოვი.
5. საბჭოთა კავშირის ბენტონიტების კომპლექსური კვლევის შედეგები და პერსპექტივები — გ. ა. მახაბელი, ო. მ. მდივნიშვილი, მ. ს. მერაბიშვილი, გ. ა. კვიციანიძე.
6. მინერალური წედლეულის გამდიდრების თეორიისა და ტექნოლოგიის განვითარების პერსპექტივები — რ. შ. შაფევიცი.
7. საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების შესახებ. — ნ. ი. სხირტლაძე.
8. მადანწარმოქმნის პროცესები. ეტიუდები და ფიქრები — ლ. ნ. თვჩინიციანი.
9. ზედა მანტიის პეტროლოგიის ძირითადი პრობლემები — ნ. ვ. სობოლევცი.
10. დედამიწის მეტალოგენიური ევოლუციის ახალი სქემა — გ. ა. თვალჭრელიძე.
11. მადნეული საბადოების გეოლოგიურ-გენეტიური ნოდლების აგების ზოგადი პრინციპები — დ. ვ. რუნიცვისტი.
12. დედამიწის ქერქის ადრეულ კამბრიულსწინა ევოლუციის მიმართება და რიტმულობა მაგმატიზმისა და მეტამორფიზმის პრობლემებთან კავშირში — ვ. ა. რუნიცი.
13. მემურ პროცესებთან დაკავშირებული ენდოგენური საბადოების მადნეული ფორმაციების გენეტიური ტიპები — დ. ი. გორუევიცი.
14. სამრეწველო სულფიდური მადანწარმოქმნა დანალექ ფორმაციებში — ნ. ს. სკრიპჩინკო.



## РАБОТЫ Г. С. ДЗОЦЕНИДZE В ОБЛАСТИ ВУЛКАНОГЕННО-ОСАДОЧНОГО ПОРОДООБРАЗОВАНИЯ

Н. И. СХИРТЛАДZE, Г. А. ЧИХРАДZE

Среди многообразных научных интересов Георгия Самсоновича Дзоценидзе особенно выделяются проблемы палеовулканологии, литологии и вулканогенно-осадочного породообразования. Уже ранние труды Георгия Самсоновича посвящены важнейшим проблемам палеовулканологии и литологии осадочных пород, — двум отраслям геологической науки, основоположником которых в Грузии был он.

Мы не будем останавливаться на трудах, посвященных вопросам палеовулканологии. Им следует, на наш взгляд, посвятить специальное исследование. Отметим лишь, что ввиду большого научного значения, эти работы, сыгравшие значительную роль в развитии отечественной петрологии, удостоены Государственной премии (в 1950 г.)

Огромны заслуги Г. С. Дзоценидзе и в области развития литологии осадочных пород в Грузии. Организованный им отдел литологии в Геологическом институте АН СССР под его руководством и при непосредственном участии проводил литологическое изучение осадочных формаций Грузии. К числу наиболее значительных работ в этой области относятся исследования, посвященные лейасовым отложениям Дзиркульского массива, батским угленосным отложениям Окрибы и Ткварчели и др. Результаты этих исследований легли в основу опубликованной им в 1961 г. (совместно с Н. И. Схиртладзе) монографии «Литология и палеогеография полосы среднеюрских угленосных отложений Западной Грузии», в которой детально охарактеризованы условия формирования угленосных толщ этой области, много внимания уделено проблеме образования глинистых минералов, возникновению конкреций, впервые охарактеризованы связанные с этими регрессивными отложениями проявления синорогенного эффузивного вулканизма и т. д. На основе палеогеографического и фациального анализа дан прогноз перспективности среднеюрской угленосной полосы, легший в основу проводимых здесь поисково-разведочных работ.

В настоящее время коллектив его учеников продолжает литологические исследования в отделе литологии Геологического института АН СССР, на кафедре минералогии и петрографии Тбилисского университета.

Систематическая работа в двух основных направлениях — палеовулканическом и литологическом — не могла не привлечь внимания Г. С. Дзоценидзе к проблеме влияния вулканизма на осадконакопление. Поэтому совершенно естественно, что известные идеи академика Н. М. Страхова он горячо поддерживал и дальнейшему развитию этих идей посвятил значительную часть своей последующей деятельности.





Еще в ранние годы, касаясь вопросов вулканогенно-осадочного породообразования, Георгий Самсонович писал, что Советская геологическая наука за последние годы сделала серьезные успехи. Созданы фундаментальные труды по осадочным образованиям, чего, к сожалению, нельзя сказать об эффузивно-осадочных формациях, которые хотя и пользуются популярностью, но разработаны гораздо меньше. А исследование этого типа образований не менее важно, так как с ним часто связаны месторождения весьма ценных ископаемых.

По словам Георгия Самсоновича, никто не отрицает значительной роли вулканических процессов в отложении осадков. Вопросу связи генезиса многих осадочных полезных ископаемых с эффузивным вулканизмом посвящено немало работ как у нас, так и зарубежом. Однако общая роль вулканизма в литогенезе до сих пор не изучена.

Данное обстоятельство по существу и определило решение провести в Тбилиси очередное VI Литологическое совещание, целиком посвященное вулканогенно-осадочным формациям.

В докладе Георгия Самсоновича Дзоциндзе была сделана попытка более широко осветить вопросы влияния вулканизма на образование осадков. Путем анализа литературных данных и наблюдений над вулканогенно-осадочными формациями Закавказья определено большое влияние вулканизма в накоплении как кластических, так и химических осадков.

Приводя примеры залежей кремнезема, железа и марганца, связанных с вулканическими толщами, Георгий Самсонович делает вывод о том, что в большинстве случаев их генетическая связь с вулканизмом достаточно очевидна, но при глубоком анализе можно доказать такую же связь и для других залежей. Вместе с тем он подчеркивал, что данные о современном вулканизме и современном осадконакоплении не только не противоречат выводу о вулканогенно-осадочном осадконакоплении вышеотмеченных образований, но, наоборот, подтверждают его.

На VI Всесоюзном совещании было решено:

- организовать работу по унификации номенклатуры и разработке методов изучения вулканогенно-обломочных пород;
- продолжить работу по типизации вулканогенно-осадочных формаций, учитывая при этом количественные соотношения различных групп пород;
- обратить внимание литологов, изучающих угленосные отложения, на необходимость тщательного изучения последних с точки зрения возможности выявления в них вулканогенных отложений разных типов, имеющих корреляционное значение; на совещании был намечен ряд других важных мероприятий для изучения вулканогенно-осадочных пород.

Интересно, что тогда же Г. С. Дзоциндзе указывал, что «VI Всесоюзное литологическое совещание, безусловно, сыграет роль «катализатора», ускоряющего изучение теоретически и практически весьма интересной проблемы влияния вулканизма на литогенез и образование некоторых осадочных ископаемых». Так и случилось.

В последующих исследованиях Георгий Самсонович развивает и углубляет свои выводы. Так, например, касаясь общего вопроса вулканогенно-осадочного литогенеза, он специально занимается вопросами влияния вулканизма на формирование кластических пород и химических осадков. Георгий Самсонович с самого начала подчеркивал, что вопрос об условиях образования смешанных вулканогенно-осадочных пород в геологической литературе освещен недостаточно, тогда как выбрасываемое вулканами огромное количество рыхлого пирокластичес-



кого материала является источником образования тех слоистых туфов и туффитов, которые составляют важный компонент всех вулканических и вулканогенно-осадочных формаций. По словам Георгия Самсоновича, надо учесть и то, что кроме подводных извержений материал для образования подводных туфов и туффитов поставляют и наземные вулканы, особенно расположенные на островах или недалеко от берегов морей и океанов, значительная часть продуктов извержения которых попадает в море. Количество выбрасываемого наземными вулканами пирокластического материала огромно; к тому же следует принять во внимание, что обычно учитывается лишь пирокластический материал, упавший на сушу, между тем попадающая в море его часть составляет немалую долю общей массы пирокластического материала. Обращено внимание также на распределение пирокластического материала. Из анализа богатого научного наследия Г. Дзоценидзе следует, что главная масса пирокластических осадков осаждается вокруг центров извержений в радиусе 20—25 км, и лишь незначительные, притом мельчайшие частицы пепла переносятся на большие расстояния. Важно и то, что направление ветра, а также т. н. направленные взрывы, обуславливают несимметричное (неравномерное) распределение пирокластического материала вокруг центра извержения.

Яркий пример такого несимметричного разноса пепла вокруг центра извержения дает вулкан Парикутин. Пепел вытянут с запада на восток, причем на запад пепел уносится дальше, чем на восток, что указывает на преобладание и большую силу восточных ветров.

Очевидно, при подводных извержениях такая неравномерность должна наблюдаться в меньшей степени, хотя и здесь определенную роль могут играть подводные течения. Но необходимо отметить, что направленные взрывы возможны и под водой, поэтому несимметричное распределение пирокластического материала вокруг центра извержения может наблюдаться и в подводных вулканогенно-осадочных толщах.

Г. С. Дзоценидзе в своей последней монографии рассматривал также характер слоистости вулканогенно-осадочных пород и особенности распределения материала. Пирокластический материал, выпадающий в субэаральных условиях на суше, большей частью имеет довольно хорошо выраженную слоистость даже в околожерловой зоне, а в промежуточной и тем более удаленной зоне слоистость делается все совершеннее. Для отложенных в удалении от вулкана туфов характерна так называемая сортированная слоистость, когда в тонких слоях хорошо видна сортировка материала по крупности пирокластических частиц снизу вверх, причем это повторяется в каждом вновь отложившемся слое.

При попадании пирокластического материала наземных извержений в водную среду (озеро или море) или при подводных извержениях сортировка происходит гораздо совершеннее и образуются часто наблюдаемые в вулканогенно-осадочных толщах пачки и целые горизонты тонкослоистых пелитовых и алевритовых пирокластов с хорошо выраженными микроритмами. Ритмичность таких туфов напоминает ритмичность флишевых отложений, где она гораздо лучше изучена, чем в вулканогенных отложениях.

Примером флишевидной ритмичности пирокластических пород могут служить эоценовые аргиллитоподобные отложения окрестностей Тбилиси.

Г. Дзоценидзе указывал также, что при подводных извержениях пирокластический материал распределяется вокруг центра извержения более равномерно, если не мешают подводные течения. Естественно, следует ожидать наличия определенной закономерности в распределении пирокластического материала среди морских отложений: вокруг



центра извержения располагаются чистые пирокласты с постепенным уменьшением мощности туфовых слоев и размеров обломков в них до мере удаления от места извержения; дальше появляются смешанные породы (пирокластический — терригенный материал) с постепенным уменьшением количества пирокластического компонента и возрастанием роли терригенного составляющего, вплоть до появления терригенных осадков практически без примеси пирокластического материала.

По мнению Георгия Самсоновича вряд ли указанная выше закономерность гетерогенности состава осадков в областях влияния вулканизма является универсальной. Ведь вполне естественно ожидать, что пирокластический материал может накладываться на терригенный песчано-алевритовый разного состава.

Сами вулканические извержения, указывает Георгий Самсонович, часто вызывают нарушение нормальной слоистости в бассейне. К сожалению, на это явление обращалось мало внимания. Можно привести несколько примеров нарушения слоистости, в которых роль вулканизма более или менее бесспорна. Вулканические извержения безусловно сопровождались и землетрясением, и цунами, и подводными оползнями, но главной причиной все-таки остается именно интенсивный вулканизм, который при наличии других благоприятных обстоятельств (рельеф дна, тонкозернистые осадки) на отдельных участках способствовал формированию весьма своеобразных осадочных фаций, классически представленных в окрестностях г. Тбилиси.

По мнению Г. Дзоендидзе не менее важным является вопрос о количественном взаимоотношении между осадочным и вулканическим материалом в вулканогенно-осадочном пороодообразовании.

Соотношение между осадочными и вулканическими породами в бассейнах осадконакопления зависит от скорости погружения дна бассейна, темпа накопления в нем осадочного материала и интенсивности вулканических процессов.

Так, например, в центральных частях большинства вулканогенных геосинклиналей, где вулканические извержения являются весьма интенсивными, а привноса терригенного материала практически нет, накапливаются вулканогенные толщи с чередованием лав и пирокластички, как правило, с резким преобладанием последних. Осадочные прослой обычно появляются к концу вулканической активности и представлены вулканогенно-терригенным материалом. Терригенные прослой формируются лишь на периферии геосинклиналей, на участках, близких к источнику сноса. Такова, например, юрская вулканогенная геосинклиналь Закавказья.

В промежуточных участках тех мест геосинклиналей, где вулканические центры были расположены друг от друга на более значительном расстоянии и куда вулканический материал поступал с трудом или не поступал совсем, в зависимости от условий бассейна образуются разные осадки: 1) терригенные, в случае приноса материала с суши; 2) вулкано-терригенные, при размыве вулканических остров и разносе этого материала по дну моря. В случае отсутствия таких источников могли образоваться даже химические осадки — известковистые, кремнистые и другие.

На участках, промежуточных между центром извержения, и участками, не получившими пирокластический материал, образуются смешанные породы — туффиты.

Георгий Самсонович полагал, что одним из важных вопросов вулканогенно-осадочного литогенеза является выяснение процессов,

34935330  
302 0000033

которые обеспечивают принос вещества и накопление химических осадков вулканического происхождения.

Можно считать, что существуют четыре основных пути привноса вещества из вулканических источников: 1) вынос ювенильных веществ эксгаляциями и гидротермами в подводных и наземных условиях; 2) вынос веществ в виде адсорбированных пленок на поверхности пепловых частиц; 3) разложение вулканических пород фумарольно-сульфаторными процессами, с переносом и отложением выщелоченного железа, алюминия, марганца, кремнезема в морские или озерные водоемы. Относительно роли этих путей существуют разные мнения, по значению вулканических эксгаляций в литогенезе и рудогенезе несомненно.


Прошло достаточно времени. Теперь изучение влияния вулканизма на осадочный процесс стало одной из актуальнейших проблем геологической науки. Если 20 лет назад, как писал Георгий Самсонович, трудно было найти какой-либо солидный труд, посвященный роли вулканизма в литогенезе, то в настоящее время положение в корне изменилось.

Большая заслуга в этом, по словам Георгия Самсоновича, безусловно принадлежит Н. М. Страхову, который один из первых в мировой геологической литературе описал вулканогенно-осадочный тип литогенеза, играющий определенную роль в условиях подводного вулканизма и обуславливающий накопление кремнезема, железа, марганца независимо от климатического типа литогенеза. В Советском Союзе в изучении проблемы вулканогенно-осадочных формаций ведущее место занимает отдел литологии геологического института АН СССР. Публикуемые отделом специальные сборники и отдельные работы по вулканогенно-осадочным формациям, вулканогенно-осадочным железным и марганцевым рудам, о характере подводного вулканизма и др. представляют собой большой вклад в изучении данной проблемы.

Вопросы влияния вулканизма на образование химических осадков и рудогенез Георгий Самсонович Дзоцидзе изложил в отдельных работах, но этим вопросам следует посвятить специальные доклады.



## ილია ყიფშიძე



ამ რამდენიმე ხნის წინათ დაბადებიდან ასე წელი შეუსრულდა ცნობილ სამთო ინჟინერს, თბილისის უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის მასწავლებელთა პირველი თაობის წარმომადგენელს ილია თევდორეს ძე ყიფშიძეს, რომელმაც 1953 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა 71 წლის ასაკში.

ილია ყიფშიძე თბილისის 35 წელი ემსახურა თბილისის უნივერსიტეტში ცოდნის მისაღებად მიაღწეა ახალგაზრდობას და თანაც ემსახურა უზმართოდ, უადრესად პატიოსნად, თავდადებით და საქმის დიდი სიყვარულით. ისიც სათქმელია, რომ მისი ეს სამსახური,

როგორც პედაგოგისა, სწავლებას თავისებურ მეთოდებზე იყო აგებული, რაზეც მას, როგორც პედაგოგს, ჭეშმარიტად დიდი ავტორიტეტი მოუპოვა.

ვისაც კი ჰქონია ბედნიერება ყოფილიყო ბატონ ილიას მოწაფე და მოუსმენია მისი ღრმაშინაარსიანი, რამდენადმე თავისებურად აგებული ლექციები, დაგვეთანხმებიან იმაში, თუ ვიტყვი, რომ მას მსმენელებში ნეცნიერების სიყვარულს შთანერგვის რაღაც საოცარი უნარი ჰქონდა. ეს იყო ბატონი ილიას თავისებური ნიჭი — ნიჭი ბუნებრივი მოვლენების ადვილად შეცნობისა, პოპულარიზაციის და მათი აღამიანთან ახლოს მიტანისა.

ჩვენს ჰუმანობაში ხდება ხოლმე, როცა რომელიმე ლექციის თემა თავისებურად რთულია, ზოგისათვის ესა თუ ის საკითხი ბუნდოვანი რჩება, სხვანაირად თუ ვიტყვი, ყველა ერთნაირად ვერ ითვისებს მას და ამიტომ ლექციისადმი ინტერესი კლებულობს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ასეთი რამ ილია ყიფშიძის ლექციებში არასდროს იგრძნობოდა, რადგანაც იგი ერთობ მოხერხებულად, მარტივი მაგალითების მოშველიებით და ცხოვრებისეული მოვლენების ჩართვით ლექციის თემას ყველასათვის გასაგებასა და საინტერეს-

სოს ხდოდა, ამის ნათელსაყოფად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ რადგანაც წერილის მოცულობით შესაძლებელი ვარ, ამიტომ მე რამდენიმე მაგალითს ავღნიშნავ. ბატონი ილია უნივერსიტეტში იმთავითვე გეოლოგიის კრისტალოგრაფიის კურსს კითხულობდა. გეომეტრიული კრისტალოგრაფია არსებითად აღწერითი დისციპლინაა, ზოგი მას „მშრალ“ საგანსაც კი უწოდებს, რადგანაც აქ უმთვრესად კრისტალთა ფორმებზე, მათი სიმეტრიის ელემენტებზე და სხვა ამგვარ საკითხებზეა ლაპარაკი. იმისათვის, რომ გეომეტრიისათვის კრისტალოგრაფია საინტერესო და მიმზიდველი გახდეს, ილია ყიდვით ამ კურსის შესავალს ასე იწყებდა: „უძველეს დროიდან მოყოლებული, ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს ბუნებაში ნაპოვნ ლამაზ, სარკისებრ ბრწყინვალა წახნაგებით შემოფარგულ მინერალთა ინდივიდებს, — ეგრეთწოდებულ კრისტალებს. მათი წესიერი გარეგანი ფორმა, გამჭვირვალობა, ნოზიბილავი და გარდუვალა ფერი (ლალი, ზურმუხტი, საფირონი), გამძლეობა და სხვა თვისებები იყო მიზეზი, რომ მათ შესაქმნად არ ერიდებოდნენ გაეღოთ დიდი ფული — ოქრო და ვერცხლი, ვინაიდან მაშინდელი წარმოდგენით, ამ ძვირფას ქვებს, გარდა სილამაზისა, კიდევ ისეთი თვისებები ჰქონდა, რომ შეეძლო ადამიანი ცუდი ავადმყოფობისაგან დაეფარათ და ბოროტი სულისაგან დაეცვათ. ეხლაც ხომ ბევრ ალავას ამ „კეთილშობილ“ ქვებთან დაკავშირებულია მრავალნაირი ცრუმორწმუნეობა (ადამიანის შელოცვა და სხვა).“

გეოლოგიური დისციპლინებიდან, რომელთაც ილია ყიდვით სტუდენტებს უკითხავდა, კრისტალოგრაფია და მინერალოგია იყო. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ბატონი ილია ჩვენს უნივერსიტეტში ვერმანულობდა ენასაც ასწავლიდა. ბევრმა კარგად იცის, რომ მას ამ მიმართულებით მწამენლოვანი მეთოდური ხასიათის მუშაობა აქვს ჩატარებული. გარდა ამისა, იგი სისტემატურად ამცადინებდა ასპირანტების რამდენიმე ჯგუფს. საერთოდ ილია ყიდვით ვერმანული ენის დიდ სპეციალისტად ითვლებოდა, მაგრამ მისი ძირითადი საქმიანობა მაინც გეოლოგიასთან იყო დაკავშირებული.

ჩვენ, გეოლოგებმა ვიცით, რომ არსებობს მრავალი კრისტალური ფორმა და შესატყვისად მინერალი, რომელთა სახელწოდება უმთავრესად ბერძნულიდან არის შემოტანილი. ილია ყიდვით, როგორც ავტორს კრისტალოგრაფიისა და თანავეტორს მინერალოგიის სახელმძღვანელოსი, კრისტალურ ფორმათა და მინერალთა სახელწოდებათა განმარტებულში დიდი დავალი მათდების, მაგრამ არის სხვა გარემოებაც. მინერალოგია რამდენადმე ძნელად ასათვისებელი დისციპლინაა. გარდა იმისა, რომ სტუდენტმა უნდა იცოდეს კრისტალის ფორმის და ასევე მინერალის სახელწოდება, იმის ცოდნაცაა საჭირო, თუ როგორი ფიზიკური თვისებები ახასიათებს ამა თუ იმ მინერალს და სხვა. ყველა ამისათვისება და დახსოვება ცხადია ადვილი არ არის, ამიტომ ბატონი ილიას საამისოდ ე.ი. მსალისათვისებისათვისებური, თუ შეიძლება ასე ითქვას — გაადვილების მეთოდი ჰქონდა. ეს იყო ე. წ. შედარებითი მეთოდი, რისთვისაც იგი იყენებდა კარგად ცნობილ საგანთა თვისებებს, ან ამა თუ იმ მოვლენას.

ასე მაგალითად, ბუნებაში ხშირად იკვებება ბევრსათვის კარგად ცნობილი მინერალი კალციტი, რომელიც წარმოშობის პირობების შესატყვისად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სხვადასხვა კრისტალურ ფორმებს ჰქმნის, მათ შორის ერთი არის წაგრძელებული — პირამიდული ფორმა — სკალენოედრად წოდებული, (თვითონ სიტყვა სკალენო — მრუდს, არასწორს ნიშნავს), მეორე კი იზომეტრიული — რომბოედრული. საჭიროა ეს განსხვავება სტუდენტმა ადვილად





დაინახოს, ე. ი. მიხედვს რას ნიშნავს „მრუდი“ ფორმა და თანაც სხვაგვარად  
 ბებიც უნდა დაინახოს. ამ შემთხვევაში ბატონი ილია ასე იტყობდა: „მრუდი“  
 წავრძელებული ფორმა, რომელსაც სკალენოედრი ეწოდება, განა არა ჰგავს  
 ძალის წაწვეტილებულ კბილებს თანაც დასაყრდენად, ხომ განზავთ გაბრაზებუ-  
 ლი ძალი, როცა იგი საკვანად ემზადება, როგორ ბასრ კბილებს ღრუჭავს, აი  
 ასეთია სკალენოედრი. ეს ისეთი შედარებაა, რომ სტუდენტს, თუ კი მას რა-  
 მის დანახობის უნარი აქვს, არასდროს არ ავიწყდება სკალენოედრის ფორმა.

ან კიდევ ასეთი შედარება: გოგირდოვანი შენეარტებიდან საკმაოდ გავრ-  
 ცელებულია მინერალი ბორნიტი — სპილენძის მადანი, რომელსაც სხვადასხვა  
 შეფერვა ახასიათებს. ამიტომ რუსები მასზე იტყვიან *пестрая руда*, ე. ი. ჭრე-  
 ლი მადანი. სიტყვა ჭრელი ფერი ძალიან ზოგადია, ამიტომ ბატონ ილიას ჰქონ-  
 და საინსტრუქციო მოძებნილი ერთობ შესატყვისი შედარება. იგი ამ შემთხვევაში  
 ბორნიტის ფერზე იტყოდა, მამალი იხვის კისრის ფერი ან მამალი ხობის კის-  
 რისფერიო. ნართლაც რომ შესანიშნავი შედარებაა.

ბევრისათვის კარგად ცნობილია მთის ბროლის სახესხვაობა, — სამკაული  
 ქვა ციტრინი. ამ სამკაულ ქვაზე იტყვიან, რომ იგი მოყვითალო ფერისაა. ამ  
 შემთხვევაშიც დაუხსრეტება საჭირო, ამისათვის ბატონ ილიას ჰქონდა ასეთი  
 შედარება: ციტრინს აფარული ღვინის ფერი ახასიათებს, თანაც ამას იგი ისე-  
 თი დიდი აიპოვნების გრძნობით იტყოდა, რომ გეგონებოდათ ხელში ციტრი-  
 ნის მაგიერ ანკარა ღვინით ასველ ჭიქა ეჭირა და მის დასაღვეად ემზადებოდა.  
 ბატონი ილია მის სტუდენტებს ზედმიწევნით კარგად იცნობდა, იცოდა ვის რა  
 უჭირდა ან უღიზნდა, ვინ იყო ღვინის მოტრფიალდ და როცა ღვინოზე ლაპარა-  
 კობდა, ნელ-ნელა მივიდოდა მასთან და შეეხმინებოდა — ჰმ, ბიჭო ხომ ასეა?  
 ე. ი. აგრძობინებდა, რომ ვიცი ღვინის სპეციალ — გიყვარს — გადამტეხული  
 არაფერი ვარგო. ანა ამის შენდეგ ვის დაავიწყებოდა ციტრინის ფერი.

აი ასეთი მაგალითები, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ლექციას ერთობ  
 საინტერესოს ხდოდა. ყველა ვატაცებით ისმენდა მას. არავითარი ხმაური ან  
 უმიზეზო ვაცდენები ილია ყიდვშიც ლექციებზე არასდროს ყოფილა.

ბატონ ილიას სხვა ბევრი შესანიშნავი შედარებები ჰქონდა, მაგრამ სამწუ-  
 ხართდ ეს ასე ეთქვათ „მარგალიტები“ არავის აღუთხსნავს. გაიფანტა, თათბოს-  
 და დაფიქრება მიეცა კიდევ, მაგრამ ბევრი ჩვენგანისათვის საკვირველი მიიწე-  
 ის იყო, რომ მან სხვებთან თანავტორობით ქართულ ენაზე შეადგინა მინერა-  
 ლოგიის სახელმძღვანელო, რომელშიაც მას არც ერთი ეს შესანიშნავი შედარ-  
 ებები არ გამოუყენებია და იმ ნაწილშიც კი, რომელიც იმის ავტორობითაა  
 დაწერილი.

ამ სახელმძღვანელოში ილია ყიდვშიც საერთო ნაწილის ვარდა მრავალი  
 მინერალი აქვს აღწერილი, რომლებიც განხილული არიან იმ მხრივადაც, თუ  
 მათ რა მნიშვნელობა აქვთ ადამიანისათვის. ბატონი ილია ზოგ მათგანზე მოხ-  
 დენილად იტყოდა „ადამიანი მათ ვერ შეეღვევა“, და მართლაც ანა ვინ შე-  
 ეღვევა რკინას, ალუმინს, ოქროს, ვერცხლს, ქვამარილს და სხვა ასეთებს.

ნე ეს მოკლე მიმოხილვა ამ წერილს დასაწყისში იმიტომ შევიტანე, რომ  
 ხაზგასმით ნუთქავა: ბატონი ილია ყიდვშიც მართალია სპეციალური განათლე-  
 ბით სამთო ინჟინერი იყო, მაგრამ მთელი თავისი არსებით პირველ რიგში მა-  
 ინც პედაგოგი იყო და თანაც ძლიერზე-ძლიერი პედაგოგი. მას გააჩნდა უხვად  
 მომადლებული ნიჭი და უნარი იმისა, რომ შეეძლო არა მარტო დაეინტერესე-



ბინა, არამედ შეეყვარებინა კადეც თავისი მსმენელისათვის ის სავანი, <sup>სადაც</sup> იგი ასწავლიდა; რაც პედაგოგისათვის ქვეშაირიტად დიდი მიღწევაა ილია ყიფშიძის პედაგოგურ სიძლიერეში დიდი როლი უთუოდ შეასრულა მისი ცხოვრების თავისებურმა პირობებმა. ე. ი. ვარემომ, რომელშიაც იგი იზრდებოდა და მოღვაწეობდა. აი ამ მხრივ კი ურთობ საინტერესოა თვით ბატონ ილიას ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია, რომელშიც ბევრად უფრო კარგადაა ნაჩვენები მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი ამას აღწერდა.

აი რას წერს ილია ყიფშიძე თავის თავზე (სტილი დაცულია ნ. ს.): „დავბადე ქარელის რაიონში სოფ. საღოლაშენში. ექვსი წლისა წამიყვანეს თბილისში... მასწავლიდა წერა-კითხვას უფროსი და სოფო, რომელიც სწავლობდა წმინდა ნინოს სასწავლებელში... დედა ენა მალე დავძლიე. ოჯახის წევრები დილიდანვე ადრე მიდიოდნენ თავიანთ საქმეზე. ვრჩებოდი სულ მართო სახლში. ამიტომ მალე დაუშვებობრდი მეზობლების ორ ბიჭს, რომელნიც მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობდნენ. ამ გარემოებამ ვადაწყვეტი რომელი ითამაშა ჩემ ცხოვრებაში.

ერთ-ერთი ჩემი ძმის მეგობრის ერ. გულისაშვილის რჩევით მინაბარეს „კარკასთან“ არსებულ გერმანულ სკოლაში, სადაც სამი წელი დავყავი. ამის შემდეგ კი გამოცდები ჩავაბარე მე-2 ვაჟთა გიმნაზიაში, სადაც სწავლაში ერთი პირველთაგანი ვიყავი.

გიმნაზიაში ყოფნის დროს ყოველთვის საამოვნებით ვიგონებ. განსაკუთრებით მიყვარდა, პატვის ვცემდი ლათინური ენის მასწავლებელს ალ. იაგულოვს, ასტორიის მასწავლებელს ვ. გეხტმანს (რომელმაც ბევრ რამეზე თვალი ავციხილა, გავვაგებინა, თუ რას ნიშნავდა მონარქია, აბსოლუტიზმი, კოლონიალური პოლიტიკა და სხვ.) და რუსულის მასწავლებელს იარ სვატოშს (ჩეხი—სლოვაკი).

როცა კი არადადეგები გექონდა, არც ერთ დღეს არ ვკარგავდი, მივდიოდი სოფელში, რომელიც ძალიან მიყვარდა. მიყვარდა ჩემი ტოლი ვლესის შვილები. არ შენიძლია არ აღენახნო აგრეთვე ჩვენი სოფლის მკვიდრის სარდიონ ამირაჯიბის ოჯახი. ვადაჭარბებული არ იქნება რომ ვთქვათ, ასეთი კულტურული ოჯახი მთელ საქართველოში ბევრი როდი მოიპოვებოდა. ეს ოჯახი ყოველ წელს უმართავდა სოფლელებს ნაძვის ხეს, მართავდა აგრეთვე წარმოდგენებს, კონცერტებს მათი განათლების ასამაღლებლად და განვითარებისათვის. ამ ოჯახში სტუმრად მოდიოდნენ საქართველოს წარჩინებული ადამიანები. აქ პირველად ვნახე ჩვენი აკაკი წერეთელი, ივ. და ნ. ნაკაშიძეები, ილია ჭავჭავაძე, შ. არაგვისპირელი და ბევრი სხვ. გასაგებია, თუ რა შინაარსის მუსიკა იყო ხოლმე სარდიონ ამირაჯიბის ოჯახში. ჩვენ, ახალგაზრდები საამოვნებით ვუსმენდით უფროსების ლაპარაკს, მათ მიერ გამოთქმულ აზრებს და შეხედულებებს. ყოველში გამოსჭვიადა პატრიოტიზმი, შიში საქართველოს ბედისა, მისი ეკონომიური სისუსტისა და სხვა... „კამათი იყო სამართლიანი, მაგრამ მეტად ფრთხილ ფორმებში გამოხატული. იყო გაკიცხვა ჩვენი თავდაზნაურობისა, რომელსაც მუშაობა არ სურდა, სწავლა ეზარებოდა, ცოდნა აკლდა და ამიტომაც ინტენსიურ მეურნეობას ვერ აწარმოებდა. სამშობლო კი ეკონომიურად სუსტდებოდა.


აი დაბლოებით ის სიტუაცია, რომელშიც ვიზრდებოდი. ჩემმა დამ საშუალო სკოლა დაამთავრა და დარჩა დედასთან სოფელში. ძმა ზაქარია გაემგზავრა ნოსკოვში სამხედრო სკოლაში. დავრჩით თბილისში მე და ალექსანდრე“.



ალექსანდრე ყიფშიძე, რომელსაც ბატონი ილია აღმზრდელს უწოდებს, 1900 წ. ახალციხეში გადაიყვანეს.

„1902 წელს დაეამთავრე გიმნაზია,— წერს ბატონი ილია,— ალექსანდრე დამიბარა ახალციხეში და იქ საბოლოოდ გადაწყდა ჩემი სწავლა გერმანიაში. უნდა შემესწავლა უსათუოდ რაიმე სპეციალობა, დამავალა აგრეთვე პირადად მენახა ჩვენი მეცენატი და განათლებული მბრუნველი დ. სარაჯიშვილი. მისმა ანდერძის აღმსრულებელმა დიდად პატივცემულმა ცხვედაძემ, რომელსაც ეხარა სტიბენდების საქმეების წარმოება, მიჩნია ატესტატი თან წამეღო. მივედი დ. სარაჯიშვილთან, მოახსენეს ჩემი ვინაობა და შემიყვანეს სამუშაო ოთახში. პირველი კითხვა იყო თუ როგორ ვსწავლობდი გიმნაზიაში. პასუხის მაგივრად გავუწოდე ატესტატი. კმაყოფილი ნიშნებით, განსაკუთრებით გამოცდების შედეგებით, მკითხა თუ სად ვამირბედი წასვლას. გაიგონა თუ არა „გერმანია“ მამინევე ვერმანულად დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ვერაფერა ვუპასუხე. არ ვიცი მიხვდა თუ არა ჩემ გაჭირვებას, იმედი გამოსთქვა, რომ მე კარგი ქართველი ვიქნებოდი და ოქროს დროს იქ გერმანიაში კარვად გამოვიყენებ, ჩვენ პატარა საქართველოს ესაჭიროება კარგი სპეციალისტები. ეს სიტყვები ნიშნავდა, რომ მე 5 წლის განმავლობაში მისი სტიპენდიანტი ვიქნებოდი“.

1902 წელს ილია ყიფშიძე გერმანიაში გამგზავრებულა და იმავე წელს ჩარიცხულა ქ. ახენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო განყოფილებაზე. ეს ინსტიტუტი მან 1908 წელს დაამთავრა, მიიღო სამთო ინჟინრის დიპლომი და სამშობლოში გაემგზავრა. „თბილისს რომ უახლოვდებოდი სიხარულისაგან გული მიძვრდა“, წერს ბატონი ილია, „თუმცა ვიცოდი, რომ დედა ცოცხალი აღარ იყო იგი გარდაიცვალა 1906 წ. დედის სიკვდილი ძმამ ალექსანდრემ თავის დროზე შემიტყობინა და მწერდა, რომ დავობლდი, მაგრამ მეორე დედა გვეყავსო საქართველოს სახით. ამას მოსდევდა სათანადო დარიგება და სხვა“. სამშობლოში ჩამოსულმა ვაიგო, რომ ძმა ალექსანდრე უპენსიოდ დაუთხოვნია სამსახურიდან მეფის მთავრობას. მას ილიასათვის დახმარების ვაწევა აღარ შეეძლო, ამიტომ საჭირო იყო სამსახურის დაწყება, მაგრამ ინდროინდელი კანონის მიხედვით უმადლესის დამთავრების შემდეგ სპეციალისტს ორ წელიწადს ჯარში უნდა ემსახურა. მაგრამ იყო ერთი გარემოება: ჯარში გასაწვევად მასწავლებლობა სამხედრო სამსახურისაგან ანთავისუფლებდა და ამიტომაც იყო, რომ გერმანიიდან ახლად დაბრუნებული სამთო ინჟინერი ილია ყიფშიძე მუშაობას იწყებს ქ. შუშის რეალურ სასწავლებელში გერმანული ენის მასწავლებლად. აქ მან პირველ მსოფლიო ომის დაწყებამდე (1914) იმუშავა. შემდეგ ჯერ ქ. შუშიდან მანგლის-თეთრწყაროში გადმოიყვანეს, შემდეგ კი აღმოსავლეთ პრუსიის ღრონტზე გაგზავნეს, სადაც იგი 1917 წლის ბოლომდე იმყოფებოდა. 1918 წლის დასაწყისში გამოიცა ბრძანება საშუალო სკოლის მასწავლებლების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. სამშობლოში დაბრუნებული ილია ყიფშიძე მასწავლებლობას იწყებს თბილისის რეალურ სასწავლებელში. იმავე დროს თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა ინიციატორების ჩვეუთმა არტურ ლაისტის რჩევით მიიწვია გერმანული ენის ლექტორად. ამასთან დაკავშირებით ბატონ ილიას ივ. ჯავახიშვილის წერილი მიუღია. სამწუხაროდ ამ წერილს ვერსად მივაკვლიეთ. მაგრამ ინდროინდელი საბუთებიდან ილია ყიფშიძის პირად საქმეში არის მოკლე ავტობიოგრაფია—



Curriculum vita, დადასტურებული პროფესორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ხელს აწერს ბატონი აკაკი წანიძე (1919 წლის 29 ნოემბრის თარიღის თუ როგორ წარმართა ილია ყიფშიძის საქმიანობა, ამოზე იგი შენდევს აღნიშნავს:

„1919 წ. დაახლოებით ოქტომბერში ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრა ჩააბარეს პროფ. ა. თვალჭრელიძეს. უკანასკნელმა ამიყვანა ასისტენტად. კათედრაზე არაფერი არ იყო — მაგიდა და სკამი გვენატრებოდა. სადემონსტრაციო მასალაზე ლაბარაკიც არ შეიძლებოდა. მე დაეიწყოებული მქონდა გეომეტრიული კრისტალოგრაფია და მინერალოგიაც. ამასთანავე პატივცემულ ივ. ჯავახიშვილმა დამავალა პრაქტიკური ქართულ ენაზე მეწარმოებინა, მაშინ, როდესაც პროფესორი რუსულად კითხულობდა თავის ლექციებს. ბევრი მუშაობა დამჭირდა პირველ წლებში, რათა აღმედგინა 10-12 წლის წინათ წასწავლი და გადამეცა ეს ქართულ ენაზე.

შალე უნივერსიტეტში დაარსდა საინჟინრო ფაკულტეტიც, ჩვენ კათედრას მოენატრა სტუდენტები საგრძნობლად. უნდა გამოვტყუდე და ვთქვა, რომ ამ ფაკულტეტზე იშვიათად კარგი სტუდენტები ნოდოდნენ, ერთი მგორეზე უკეთესები, როგორც ყოფაქცევით, ისე მომზადების მხრივ. მე ეხლაც იმ შემადგენლობას სიამოვნებით ვიგონებ.

პროფ. ა. თვალჭრელიძე ბევრ დროს ანდომებდა მოღვლების მუყაოსაგან გაკეთებას და ნახაზების დამზადებას. რომ ცოტათი მაინც გაეადვილებინა სტუდენტებისათვის წასალის ათვისება, თითქმის ყოველ კვირას დადიოდა თბილისის მიდამოებში და გვიან საღამოთი ქვევით ვაჭედელი რუკაჯაყთ ბრუნდებოდა სახლში, თან ახლდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც ვატაცებულნი იყვნენ მინერალოგიით.

მაგრამ ჩვენთვის ნათელი იყო, რომ რაც არ უნდა დამჯდარიყო, მინერალოგიური კოლექცია უნდა შეგვექმნა. ჩვენდა საბედნიეროდ, თბილისში ვიპოვეთ კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა იმ სიტუაციაში მშვენიერი მინერალოგიური კოლექცია. ბევრი სიარულის და ლაბარაკის შემდეგ, როგორც იქნა, ვარეშე უნივერსიტეტის, მთავრობამ მისცა პრ. ა. თვალჭრელიძეს საკმაროდ დიდი თანხა ვალენტით და 1924 წ. ჩვენმა კათედრამ შეიძინა კოლექცია მოქ. კუნდუროვისაგან, რომელიც ფრეიბერგის აკადემიაში (გერმანიაში) სწავლობდა და რომლის მამას ზანაგუშტონში სპილენძის მადარობები ჰქონდა. მე კუნდუროვს გიმნაზიიდან ვიცნობდი და გამიადვილდა დამერწმუნებინა იგი, სხვადასხვა მოსაზრებებით, რომ მოეყიდა კოლექცია ჩვენთვის და არა სხვისთვის.

ქვირთასი კოლექციის შექმნის შენდევს მინერალოგიის სწავლება შედარებით ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ამოზე გაჩერება შეუძლებელი იყო — კიდევ ბევრი რამ გვაკლდა, რომ კარგი სპეციალისტები მოგვემზადებინა. განათლების კომისარიატიც ხელს გვიწყობდა და უარს არ ვგუბუნებოდა თანხებზე — ახალი ასისტენტები და ლაბორანტები გვეჭირდებოდა, რადგანაც მოგვემართა კიდევ აგრონომები, რომელთა რიცხვი 400-500 აღწევდა. ყველანი გადატვირთულნი ვიყავით; პირადად მე თითქმის მუდამ დღე მ საათს პრაქტიკულს ან ლექციას ვატარებდი. ლექტორად ვითვლებოდი იმეს შემდეგ, როცა კრისტალოგრაფიაში სანიმუშო ლექცია წავიკეთებე, რომელსაც დაესწრნენ პრ. ნ. მუსხელიშვილი, პრ. ა. ბენაშვილი, პროფ. ა. თვალჭრელიძე და სხვ. ეს იყო ალბათ 1926 ან 1927 წ.

1932 წ. განათლების კომისარიატის მიერ დამტკიცებული ვიქენი დოცენ-



ტად. ამის შემდეგ პროფ. ა. თვალჭრელიძემ გადმოიკა ნინერალოგიის ინსტიტუტის სტუდენტებს გარდა კრისტალოგრაფიისა მინერალოგიასაც.

ანაირად, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, მე მეტად გადატვირთული ვიყავი საათებით და პირადად ჩემთვის დრო აღარ მრჩებოდა სამეცადინოდ. მეცნიერებას ძალზე ჩამოვრჩი. მეტიცე შტატების შემოღების შემდეგ შეღავათი მომეცა, მაგრამ თავისუფალი დრო უნდა გამომეყენებინა იმისათვის, რომ მე თვითონ ამეთვისებინა ის ახალი მასალა, ურომლისოდ შეუძლებელია ამჟამად მინერალოგიის კურსის წაითხვა უმაღლეს სასწავლებელში. ამას კიდევ ვახერხებ, მაგრამ მეცნიერულ მუშაობისათვის ძალია აღარ შემწევს.

მე ჩემ თავს მაინც ბედნიერად ვთვლიდი, რადგანაც არა ერთმა ჩემმა სტუდენტმა შეიყვარა ჩემი საგანი, მიეჩვია მეცადინეობას, შეიძინა ცოდნა საფუძვლიანი და შემდეგ მაღალ კურსებზე გაუადვილდა სწავლა. ჩემ თვალწინ გაიზარდნენ ჩემი ყოფილი საყვარელი სტუდენტები, ზოგი მათგანი პროფესორია, აკადემიკოსიც, ზოგი კარგი მასწავლებელი, ზოგიც ჩინებული მონუშავე ველზე.

მე აღვნიშნე ჩემი ცხოვრების მთავარი მომენტები, წვრილმანს არ შევგებნი. მე დავიწყე უნივერსიტეტში მუშაობა მაშინ, როცა მე 35 წლისა ვიყავი, დატვირთული დიდი ოჯახით, ამ პერიოდში, როცა დიდი გაჭირვება იყო, დიდი ენერგია უნდა დამეხარჯა, რომ ცოლ-შვილი გამომეკვება. ამიტომ მიხდებოდა კერძო საათების მიცემაც კი (ვამზადებდი ჩვენ ექიმებს ივერმანულში, საკანდიდატო გამოცდებისათვის, პროფესორებს ვუთარგმნიდი სტატიებს გერმანულზე (სულ უკანასკნელი 20 შრომაა დაბეჭდილი გერმანულ ჟურნალებში)...“.

მაგრამ ილია ყიფშიძის მეცნიერული მუშაობა მართა ამით როდი ამოიწურებოდა. მან ბრწყინვალე გამოკვლევა მიუძღვნა ბოქსიტებს, რომელიც დაბეჭდილია კრებულში „საქართველოს მინერალური რესურსები.“ ეს წერილი დიდ ინტერესს იმსახურებს თავის აქტუალობით. ვისაც სურს კარგად გაიგოს თუ რა არის ბოქსიტი, როგორია მისი ნივთიერი შედგენილობა, წარმოშობის პირობები, სად არის ამ ნედლეულის უმთავრესი საბადოები მსოფლიოში, სად უნდა მოველოდეთ მას საქართველოში, უნდა გაეცნოს ილია ყიფშიძის ამ შესანიშნავ შრომას.

გარდა ამისა, მას დაწერილი აქვს: „საქართველოს მარმარილოები“ (ხელნაწერი), „თრიალეთის ქედის ავტიტები“ (ხელნაწერი), „ალაზნის ხეობის კირქვები“ (პროფ. ნ. თათრისვილითან ერთად); მასვე აქვს ბრწყინვალე ქართული ენით დაწერილი გეომეტრიული კრისტალოგრაფიის სახელმძღვანელო (19 თაბახის მოცულობით). მინერალოგიის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (თანაავტორობით, 14 თაბახი).

სამეცნიერო-კვლევითი პედაგოგიური ინსტიტუტების დავალებით დაუწერია სტატია „მნიშვნელობა და ხერხები თარგმნითი მეთოდისა“ (დაბეჭდილია 1943 წ.), „გერმანული ენის სიძნელენი და მათი დაძლევის ხერხები“ (ხელნაწერი). საქართველოს განათლების კომისარიატის დავალებით დაწერილი აქვს გერმანული ენის ათამდე სახელმძღვანელოს რეცენზია. და აი, ყოველივე ამის მიუხედავად, ბატონი ილია მაინც არ იყო კმაყოფილი თავის ამ მიმართულებით მუშაობისა, რასაც იგი, როგორც უკვე ვთქვით, პედაგოგიური მუშაობით მეტისმეტად გადატვირთულობით ხსნიდა.



საქართველოს  
ლიბრეოთეკა

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ წაკლები ღირებულების  
ბის როდი იყო ეს შრომა, რომელიც მან გასწია ჩვენი ახალგაზრდობის ვლადიმერ  
საქმეში — სპეციალისტების მომზადებისათვის, რის მნიშვნელობა ყველასათვის  
ნათელია.

ასეთი იყო ჩვენი სასიქადულო ნამუღიშვილი, ჩვენი სამშობლოსა და მისი  
ხალხის უსაზღვროდ მოსიყვარულე ილია ყიფშიძე, რომელმაც თავისი კეთილ-  
სინდისიერი თავდადებული შრომით ბრწყინვალე მასწავლებლის სახელი მოა-  
პოვა. ეს კი რასაკვირველია არც თუ ადვილი საქმეა.

ნიკოლოზ სხირტლაძე

მინერალოგია-პეტროგრაფიის  
კათედრის გამგე



**შინაარსი**

**გეოფიზიკა**

ლურსმანიშვილი თ., მანჯგალაძე პ., უსტიაშვილი ა. ელექტრულ  
იმპულსთა გენერატორი ულტრაბერითი პეზოგადამწოდების აღზნებისათვის . . . . . 5

**გეოლოგია**

მრეელიშვილი ნ., ცაგარელი ა. კადევი ეწახელ ნეოზოურის და კანოზოურ-  
რის საზღვრის შესახებ . . . . . 6

შენგელია ფ., ალფაიძე ვ. პორფირიტული კონგლომერატების ასაკისა და ვან-  
ლაგენის ჩასათის შესახებ სამართ-დასავლურ აფაზენში . . . . . 21

მრეელიშვილი ნ. პალეოცენ-ეოცენის საზღვრის საკითხისათვის (ილერდიული სარ-  
თულია სტატუსის შესახებ) . . . . . 25

თუბეგრიძე ბ. მწვერვალ დიგრას მეტასომატიტების შესახებ . . . . . 32

კილასონია ბ. თ., შუაეული მაგმატიზმის ზოგი თავისებურების შესახებ ძირულის  
კრისტალურ მასივში . . . . . 37

**გეოგრაფია**

კოტარია ა. კოლხეთის დაბლობზე რადიაციული ბალანის დახასიათების ზოგიერთი  
საკითხისათვის . . . . . 47

ხნალაძე თ., ქოჩიაშვილი დ. არაკვის აუზის მდინარეთა კალაპოტების  
ტიპიზაცია . . . . . 51

მეტრეველი გ., ოქროპირიძე ზ., პლოტკინა ი., სარქისოვა ლ.  
ეგმ გამოყენება წალსაცავის წყლის ბალანსის გაანგარიშებისას . . . . . 61

ბოკერია მ., შაფათავა ნ. კოლხეთის დაბლობის ძველი საცხოვრებელი სახ-  
ლების არქიტექტურა და ჰავა . . . . . 65

სულაქველიძე ი., მთწონელიძე ნ., ჭალიაშვილი დ. ჰაერის მასე-  
ბის ტრანსფორმაციის შეფასება . . . . . 70

წერეთელი ე., რომანიშვილი თ. მთიან მხარეებში ფერდობულ პრაციე-  
ბის აღრიცხვის უნიფიცირებული სქემის შედგენის საკითხისათვის . . . . . 77

მარუაშვილი ლ., კოლოშვილი ლ., მამაცაშვილი ნ. ხაზარაძე რ.,  
ლიფთანია გ. გორდის ფენომენი . . . . . 85

ხარატაშვილი მ., სეფერთელაძე ზ., მთიერ ტერიტორიის ლანდშაფტურ  
ანალიზი აფაზეთის ასრ გალის რაიონის სოფ. წარბის ეშხას სახელობის ციტრუ-  
სების საბჭოთა მეურნეობის მაგალითზე . . . . . 100

კვერცხილიაძე რ., გარბული საბჭოთა ეკონომიკური გეოგრაფიის ისტო-  
რიისათვის . . . . . 105



კეძე ლია ი., ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში  
რეკონსტრუქციის ორგანიზაციის გეოგრაფიული პრობლემები . . . . . 114

გეგეშიძე ა., რონდელი ა., დასავლეთ ირანის მთიანი რაიონების მოსახლეობის  
და ურბანისაციის გეოგრაფიული პრობლემები . . . . . 121

ლაშხა გ., საქართველოს სსრ სუბტროპიკულ ზონაში სოფლას მოსახლეობის მომსა-  
ხურების სისტემაში ქალაქების როლი. . . . . 127

**ქრონიკა** . . . . . 133

სხირტლაძე ნ., ჩიხრაძე გ., ვულკანოგენურ-დანალექ ქანთა გენეზისის შესწავლის  
სფეროში გ. ძოწენიძის შრომების შესახებ . . . . . 135

სხირტლაძე ნ., ილია ყიფშიძე . . . . . 140





## СОДЕРЖАНИЕ

### ГЕОФИЗИКА

Лурсманашвили О. В., Манджгаладзе П. В., Устнашвили А. Т. Генератор электрических импульсов для возбуждения ультразвуковых пьезо- датчиков . . . . .	5
--	---

### ГЕОЛОГИЯ

Мревлишвили Н. И., Цагарели А. Л. Еще раз о границе между мезо- зоом и кайнозоом . . . . .	8
Шенгелия Ф. К., Алпаидзе В. С. О возрасте и характере залегания пор- фиритовых конгломератов в Юго-Восточной Абхазии . . . . .	21
Мревлишвили Н. И. К вопросу о границе палеоцен-эоцен (статус едер- дского яруса) . . . . .	25
Тутберидзе Б. Д. О матасоматитах горы Дигра (Эрушетское нагорье . . . . .	32
Киласония П. Ф. О некоторых особенностях среднеюрского магнетизма в Дзирульском массиве . . . . .	37

### ГЕОГРАФИЯ

Котария А. Ф. О некоторых вопросах характеристики радиационного баланса Колхидской низменности . . . . .	47
Хмаладзе О. Г., Кочиашвили Д. П. Типизация речных русел в бассейне р. Арагви . . . . .	54
Метревели Г. С., Окропиридзе З. А., Плоткина И. Г., Саркисо- ва Л. Х. ЭВМ при расчете водного баланса водохранилища . . . . .	61
Бокерия М. Г., Шалатава Н. Н. Климат и древняя жилищная архитек- тура Колхидской низменности . . . . .	65
Сулаквелидзе Я. Г., Мопонелидзе Н. Г., Джалиашвили Д. Ш. Оценка трансформации воздушных масс . . . . .	70
Церетели Э. Д., Романюк О. С. К вопросу составления унифицирован- ной схемы учета гравитационных процессов на горных склонах . . . . .	77
Маруашвили Л. И., Когошвили Л. В., Мамацашвили Н. С., Ха- зарадзе Р. Д., Липонава К. И. Гордский феномен . . . . .	85
Харатишвили М. Ш., Сепертеладзе З. Х. Ландшафтный анализ ма- лой территории на примере цитрусового совхоза им. Эшба сел Царче Гальского района Абхазской АССР . . . . .	100
Кверенциладзе Р. И. К истории Грузинской советской экономической географии . . . . .	103



საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემია

Кекелиа И. А. Географические проблемы пространственной организации сельскохозяйственного производства пригородной зоны г. Тбилиси . . . . .	121
Гегешидзе А. М. Рондели А. Д. Основные черты населения и урбанизации горных районов Западного Ирана . . . . .	127
Лашхи Г. С. Роль городов в системе обслуживания сельского населения в субтропической зоне Грузинской ССР . . . . .	133
<b>Хроника</b> . . . . .	135
Схиртладзе Н. И., Чихрадзе Г. А. Работы Г. Дзоценидзе в области вулканогенно-осадочного породообразования . . . . .	140
Схиртладзе Н. И., Илья Кишвидзе . . . . .	140



გამომცემლობის რედაქტორები: ც. ხეთერელი, ლ. ხონტარია  
სამხატვრო რედაქტორი ი. წიგვანიძე  
ტექნიკური რედაქტორი ა. ფირცხელანა  
კორექტორი მ. ქარსელაძე, ც. მთლოდინი

გადაეცა წარმოებას 13.07.88. ბეღმონწერილია დასაბუქდად 23.11.88.  
უე 01693 საბუქდი ქაღალდი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბუქდი  
თაბახე 13,3 სააღრ.სსაგამომც. თაბახე 12.

ტირაჟი 300. შეკვეთის № 1100.

ფასა 90 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.